ახალი განათლება

18-24.04.2019

№14 (848) გაგრძელება 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

სტუმარი

ინტერვიუ ფილოლოგთან

გვერდი 6

➡ *ახასოდეს მინანია ეს ახჩევანი, ჰიჰიქით, მეამაყება ჯიდეს, ჰომ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტი ვარ. თან ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, ჰომ თუ ძველი ქართული ენა არ იცი, ვერ ჯითხულობ ძველ ტექსტებს და მათ სიტყბოებას ვერ წვდები, ვერ გექნება ქართული ენის ცოდნის ჰერეტენზია.*

➡ *ის, ჰაც მწამს ან ჰოგორც მწამს, მხოლოდ ჩემსა და უზენაესს შორისაა განსახილველი. თუ მეცნიერების ჰოზიციიდან შევხედავ, აუცილებლად მჯერეული ახრებიც უნდა მქონდეს და ჯითხვები უნდა დავსვა. ირანის ყოფილმა ჰერეზიდენტმა, მეჰამედ ხათამიმ, თავის დროზე თქვა, ჰომ ერთ დროს ჰეგემონი მუსლიმური ცივილიზაცია ქრისტიანულს სწორედ იმის გამო ჩამორჩა, ჰომ ჩვენ ჯითხვების დასმა შევწყვიტეთო და სადაც ჯითხვა არ არსებობს, იქ აზროვნებაც წყდებაო.*

➡ *მგონია, ჰომ ჰოლიტიჯა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ეს განწყობა ცოტა შეიცვალა, ჰაგან მივხვდი, ჰომ ჰოლიტიკოსობა სულაც არ გულისხმობს ჰარტიის ჩამოყალიბებას, ჰოლიტიკოსია ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანი, ჰომელსაც აქვს თავისი ხედვა/თეორია და ცდილობს, დაიცვას საჯეთარი აზრი. სამწუხაროდ, არის უხილავი ჭერი, ჰომლის იქით არ შეიძლება წახვიდე.*

ოქტავი ქაზუმოვი

პროფესია მასწავლებელი

საჯმაოდ ჰთული ჰროფესიაა და თუ გინდა, ჰომ შედეგი გქონდეს, ძალიან ბევრი დრო უნდა დაუთმო მას, მხოლოდ 45 წუთით და ჩატარებული გაკვეთილებით მასწავლებლობა არც იწყება და არც მთავრდება.

ნათია ფუჩხალაძე

გვერდი 2

საბოლოო გაკვეთილი

Մարդու կմախքը

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ფოკის საჯარო სკოლის პედაგოგის, დეზდემონა ალვანჯიანის მიერ ჩატარებული გაკვეთილი „ადამიანის ჩონჩხი“

გვერდი 4

მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის თავისუფალი დასწრება გაუქმდა



განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ზოგადი განათლების შესახებ კანონში ინიცირებული ცვლილების საფუძველზე, საჯარო სკოლებში, საატესტატო გამოსაშვები გამოცდები გაუქმდა. აქედან გამომდინარე, 2018-2019 სასწავლო წელს, მე-12 კლასის მოსწავლეებისთვის თავისუფალი დასწრების რეჟიმი აღარ იმოქმედებს და მათთვის სასწავლო წელი 20 მაისს დასრულდება.

წელს, დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის, 30% და მეტის გაცდენის გამო, ექსტერნატის გამოცდებზე რეგისტრაციის პერიოდად 21-22 მაისი, ხოლო საგამოცდო პერიოდად 23 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით განისაზღვრება. ექსტერნატის გამოცდებისთვის მოსწავლეთა რეგისტრაცია საჯარო სკოლის მიერ ელექტრონულად განხორციელდება.

რაც შეეხება ექსტერნის გამოცდებს, როგორც ცნობილია, ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, თუ საბაზო-საშუალო საფეხურებზე მოსწავლემ, სასწავლო წლის განმავლობაში, კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი გააცდინა, ის მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე ფასდება.

შეგახსენებთ, რომ თავისუფალი დასწრების პრაქტიკა 2012-2013 სასწავლო წლიდან მოქმედებდა. გამომდინარე იქიდან, რომ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი გრაფიკით, სკოლის გამოსაშვები გამოცდები სასწავლო წლის დასრულებისთანავე იწყებოდა, აუცილებელი ხდებოდა, გაცდენების ზღვრულ ოდენობაზე მეტის მქონე მოსწავლეების ექსტერნატის წესით შეფასების პროცესი ამ დროისთვის დასრულებული ყოფილიყო. სწორედ ამიტომ, სამინისტროს გადაწყვეტილებით, მე-12 კლასელებისთვის, ყოველწლიურად, თავისუფალი დასწრების რეჟიმი სასწავლო წლის დასრულებამდე ერთი თვით ადრე დაიშვებოდა და ამ პერიოდში მათ მიერ გაცდენილი საგაკვეთილო საათები უკვე დაგროვილი გაცდენების რაოდენობას არ ემატებოდა.

ПРОФЕСИА МАСწАВლებელი

მთავარია, შენ ირწმუნო და მერე სხვებიც ირწმუნებენ

ნათია ფურცელაძე ქართულ ენასა და ლიტერატურას კერძო სკოლა „ქორალში“ ასწავლის, ის „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო 2017-ის“ ფინალისტია, ფილოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრი, დოქტორანტი, ლიტერატურულ კლუბ „წიგნიერის“ დამაარსებელი, თსუ-ს მიწვეული ლექტორი. ამ ჩამონათვალს ახლახან კიდევ ერთი ტიტული შეემატა – „2019 წლის ქართული ენისა და ლიტერატურის საუკეთესო მასწავლებლად“ დასახელდა. დაჯილდოების ცერემონიალიდან გავრცელდა აცრემლებული მასწავლებლის ფოტო, რომელიც ამ აღიარებას განსაკუთრებულს უწოდებს, რადგან საქმე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის კონკურსს ეხება. ლიტერატურა მისი ცხოვრების განუყოფელი თანამგზავრია, მასწავლებლობა კი პროცესი, რომელიც აგედნიერებს და მის ყოველდღიურობას საინტერესოს ხდის. ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის იმ წარმატებულ მასწავლებელთა გუნდის წევრია, რომელიც მომავლის დასაყრდენად იქცა. მასწავლებლობის მიღმა კი, ნათია, უპირველს ყოვლისა, ორი არაჩვეულებრივი გოგოს დედაა. „შვილებს სჭირდებათ არა მასწავლებელი დედა, არამედ მეგობარი დედა, რომელიც მათთან ითამაშებს.“ - ამბობს ის.

რატომ იტირეთ? ვკითხე ნათიას. – „არ ვიცი, რატომ ვიტირე, ბუნებრივად მოხდა, – მპასუხობს და შემდეგ ერთგვარ ახსნასაც პოულობს – ღირსეული, გამოცდილი არაჩვეულებრივი მასწავლებლები იყვნენ ხუთეულში, ჩემთვის ძალიან დიდი პატივი იყო მათ გვერდში ყოფნა და სიმართლე გითხრათ, დიდი მოლოდინი არ მქონია, გამარჯვება ძალიან მოულოდნელი აღმოჩნდა და თავი ვერ შევიკავე – ეს იყო წამიერი ემოცია, ხმის ამოღებაც კი გამიჭირდა“.

აღიარება

ამ აღიარებამ კიდევ ერთი პასუხისმგებლობა დამაკისრა. სხვათა შორის, ასეთი აზრიც გამოითქვა, რატომ მივიღე ამ კონკურსში მონაწილეობა, მე ხომ მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ფინალისტიც ვიყავი და ა.შ. ყველა კონკურსს თავის წესები აქვს და მე ამ წესებს ვემორჩილები, არც ერთი წესი არ მიკრძალავს კონკურსში მონაწილეობას. იმიტომ კი არ დავრეგისტრირდი და ჩავერთე, რომ საკუთარ თავს საუკეთესო მასწავლებლად მივიჩნევ, არამედ იმიტომ, რომ ქართულის მასწავლებლების კონკურსი იყო. მინდოდა, ერთით მეტი გამოცდილება მქონოდა და უშუალოდ ჩემი პროფესიის წარმომადგენლებისგან, ექსპერტებისგან, ჩემზე გამოცდილი ადამიანებისგან მომესმინა, როგორ შეაფასებდნენ ჩემს პრაქტიკას, რომ უფრო კარგად დამენახა პრობლემებიც და საჭიროებებიც.

მეტი პასუხისმგებლობა

კონკურსმა მოტივაცია ამიმაღლა, ვიზრუნო პროფესიის პოპულარიზაციაზე, განსაკუთრებით – ქართულის მასწავლებლის, უფრო მომანდომა, კიდევ მეტ ახალგაზრდას მივაწვდინო ხმა. ეს იქნება ჩემთვის შესაძლებლობა, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურის მკითხველები შემოვიკრიბო და ერთად დავუჭიროთ მხარი თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურას. თავისთავად, კონკურსში გამარჯვება პროფესიული განვითარების თვალსაზრისითაც დამეხმარება. ბევრი კოლეგა მწერს, მზად არიან, გაიზიარონ ჩემი გამოცდილება, მეც მზად ვარ მათი გამოცდილების გასაზიარებლად, რაც, თავისთავად, აამაღლებს ჩემი სწავლების ხარისხსაც.

კიდევ ერთი მთავარი რამ – ჩემი მოსწავლეები ისეთი ბედნიერები იყვნენ, რომ ამ სიხარულად ღირდა.

სიყვარულის გაცემისა და მიღების საუკეთესო საშუალება

მასწავლებლობა ჩემთვის მთელი ცხოვრებაა – ბედნიერება, რომელიც ყოველ დღეს საინტერესოს ხდის. რაც მთავარია, ეს არის მუდმივი განვითარების შესაძლებლობა. მე ცოდნის მიმღებიც ვარ და გამცემიც – ვასწავლი და, ამავდროულად, ვსწავლობ, ვსწავლობ ბავშვებისგან, რასაც დიდი სიხარული მოაქვს. ამის გარდა, მასწავლებლობა სიყვარულის გაცემისა და მიღების არაჩვეულებრივი საშუალებაა.

მთავარი თვისება

ჩემი აზრით, მასწავლებლისთვის ყველაზე მთავარი თვისება სამართლიანობაა. მასწავლებელი თუ სამართლიანი არ არის, სამართლიან გარემოს ვერ შექმნის, მოსწავლეებს კი აუცილებლად სჭირდებათ სამართლიანობის განცდა, რომ სწორად განვითარდნენ და თავადაც შექმნან სამართლიანი საზოგადოება. ამის გარდა, ძალიან ბევრი თვისებაა, რომლებიც მასწავლებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს, მაგალითად, სიყვარული ბავშვებისა და საქმის მიმართ.

საკმაოდ რთული პროფესიაა და თუ გინდა, რომ შედეგი გქონდეს, ძალიან ბევრი დრო უნდა დაუთმო მას, მხოლოდ 45 წუთით და ჩატარებული გაკვეთილებით მასწავლებლობა არც იწყება და არც მთავრდება. სასწავლო პროცესი რომ სასურველი გახადო მოსწავლეებისთვის, აუცილებლად უნდა იყო შემოქმედებითი, მაგრამ, მთავარი, რასაც ჩემი პედაგოგიკა ეფუძნება, მაინც სამართლიანობაა.

ისიც უნდა გავითვალისწინო, რომ სამართლიანობა ვიღაცისთვის შეიძლება სუბიექტური იყოს, ვიღაცისთვის – ობიექტური. მუდმივად ვცდილობ, ვიყო სამართლიანი და არასოდეს – ტენდენციური, ბავშვებზე განსაკუთრებულად ცუდად მოქმედებს ტენდენციურობა. გეტყვით იმასაც, რომ დედამიწის ზურგზე არ არსებობს უშეცდომო ადამიანი, მეც მაქვს შეცდომები. მე ამის სწავლებასაც ვცდილობ ჩემი მოსწავლეებისთვის. როცა რაიმე მეშლება, აუცილებლად ვაღიარებ ხოლმე და ბოდიშს ვიხდი. სხვაგვარად ბავშვები ვერ ისწავლიან შეცდომების აღიარებას. ვცდილობ, მათი შეფასებაც მოვისმინო. როცა მათ რამე არ მოსწონთ, ღიად მეუბნებიან ან მწერენ. ერთხელ ჩემს ყოფილ მოსწავლეს, რომელსაც დავალება არ ჰქონდა შესრულებული, გაკვეთილზე მივეცი შენიშვნა. მან მითხრა, კარგი იქნებოდა, ეს რომ გაკვეთილზე არ გეთქვათ და ამ თემაზე პირადად გვესაუბრაო. ჩემი პოზიცია კი ავუხსენი, მაგრამ ბოდიშიც მოვუხადე – მაპატიე, ეს ვერ გავითვალისწინე და სამომავლოდ აუცილებლად გავითვალისწინებ-მეთქი. მისთვის ეს იყო მაგალითი – თუ ოდესმე თვითონაც შეეშლება, ბოდიშის მოხდა არ შერცხვება.

მოსწავლეებთან ურთიერთობა

შეცდომის აღიარების გარდა, მათთან ურთიერთობაში ძალიან მეხმარება პრინციპი – მოვუსმინო და გავითვალისწინო ბავშვების შეხედულებები ნებისმიერ სიტუაციაში – გაკვეთილებზე თუ გაკვეთლების შემდგომ. ეს ძალიან მეხმარება გაკვეთილის სწორად დაგეგმვაში. ემპათიაზეც თუ ვისაუბრებთ, ეს უნარი შეიძლება ადამიანს დაბადებისთანავე არ დაჰყვეს, მაგრამ ის ისწავლება. მეც ასე ვისწავლე და ვცდილობ, მოსწავლეებსაც გამოვუმუშაო.

პროფესიული განვითარება – წინააღმდეგობების გადალახვა თუ მშვიდი პროცესი

ვერ ვიტყოდი, რომ ერთი ან მეორე, ორივე საჭიროა არა მარტო მასწავლებლის, არამედ, ზოგადად, ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენლის განვითარებისთვის – წინააღმდეგობების გარეშე სიმშვიდეს ვერ დაიფასებ. ჩემ შემთხვევაშიც ორივე ყოფილა, თუმცა, ძალიან მადლიერი ვარ იმის, რომ თავის დროზე ისეთ სკოლაში მოვხვდი (დღემდე იქ ვმუშაობ), სადაც ხელოვნურ ბარიერს არავინ მიქმნიდა, მენდობოდნენ, რამაც შინაგანი დაბრკოლებები გადამალახვინა და ობიექტურ თვითშეფასებაში დამეხმარა.

მეთოდი, რომელიც გამოარჩევს

უპირველეს ყოვლისა, ვიტყოდი, რომ ყოველთვის მივისწრაფვი ინდივიდუალიზმისკენ, შესაბამისად, მეთოდებს სიტუაციის მიხედვით ვარჩევ. აქტიურად ვიყენებ თამაშით სწავლებას, მაგრამ რომ გითხრათ, მხოლოდ ჩემი მეთოდია-მეთქი, არ ვიქნები მართალი. თუნდაც, წიგნის წაკითხვის შემდეგ თამაშის დაგეგმვა ან პროექტის შერჩევა თუ სხვა, ყოველთვის მორგებულია ბავშვების ინტერესზე. არასოდეს ვიმეორებ, მაგალითად, ერთ კლასში გამოყენებულ მეთოდს მეორე კლასში, თუ იქ ეს არ მოსწონთ. საჭიროების გათვალისწინებით გამოყენებული მეთოდები ძალიან მეხმარება (ვერ ვიტყოდი, რომ გამომარჩევს, ეს ისევ და ისევ იმ ადამიანებმა უნდა შეაფასონ, ვისთანაც ვიყენებ) სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვაში.

ლიტერატურა – ცხოვრების განუყოფელი ნაწილი

სკოლაში როცა მივდიოდი, იმთავითვე ვიცოდი, რომ ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანი იქნებოდა, კითხვა შემეყვარებინა მოსწავლეებისთვის, წიგნი მათი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად მექცია და მეზრუნა წიგნიერების პოპულარიზაციაზე. თავიდან ეს ოცნება იყო, მაგრამ ოცნება ამიხდა, როცა ლიტერატურული კლუბი „წიგნიერი“ დავაარსე. ბავშვებს სურდათ, ჰქონოდათ სივრცე და დრო, სადაც მათთვის სასურველ თემებზე ისაუბრებდნენ, ამ საჭიროებამ დაგვაარსებინა კლუბი. შემდეგ სკოლამ გამოგვიყო სივრცე, ლიტერატურული სალონიც გავხსენით და ყველა დეტალი მე და ბავშვებმა ჩვენი ხელებით შევქმენით. კედლის საათსაც კი წიგნის ფორმა აქვს, კედლები ბავშვების ნახატებით არის გაფორმებული. დიორამებს ვქმნით თუ სანიშნეებს ვაკეთებთ, ყველაფერს წიგნებთან აქვს კავშირი. ბუნებრივია, ეს ყველაფერი მხატვრული ლიტერატურისადმი (და არა მხოლოდ) ინტერესს ზრდის.

ვცდილობ, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების გზები, მეტ-ნაკლებად, წიგნებთან გადაიკვეთოს. არ ვიტყვი, რომ ეს გამომარჩევს, მაგრამ ჩემი ერთი მთავარი მიმართულება სინამდვილეში ეს არის. ჩემი სურვილია, ბავშვები საინტერესო მკითხველებად იქცნენ, თუმცა, მათ თავისუფალ არჩევანს პატივს ვცემ, აზრებს ვითვალისწინებ და არასოდეს ვავალდებულებ. ძალიან მეხმარება თანამედროვე მწერლებთან შეხვედრები. მაგალითად, წარვადგენ წიგნს და ვეუბნები მოსწავლეებს, რომ რამდენიმე თვეში გვექნება შესაძლებლობა, შევხვდეთ ამ წიგნის ავტორს, შეიძლება ამონარიდიც წავიკითხო ნაწარმოებიდან, ილუსტრაციებიც ვაჩვენო. შემდეგ ვკითხავ, ვის აქვს სურვილი, რომ ეს წიგნი წაიკითხოს, აბსოლუტური უმრავლესობა თანახმაა ხოლმე, რაც მთავარია, თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას, მწერალთან შეხვედრის მოლოდინში უფრო სიამოვნებით კითხულობენ. თუმცა, ისეთი მოსწავლეებიც ყოფილან, რომლებსაც უარი უთქვამთ, არასოდეს დამიძალებია, ეს მათი არჩევანია.

შეიძლება ბანალურია, მაგრამ მართლა ბავშვობიდან მიყვარდა ეს პროფესია, რაც ჩემი მასწავლებლების დამსახურებაა. სწორედ ეს მიმართულება გააძლიერეს მათ ჩემში. მიყვარდა ქართული, წერა, გერმანული ენა. ჩემი სადოქტორო კვლევაც და ახალგაზდა მეცნიერის ცხოვრებაც დიდწილად გერმანული ენის სწავლამ განსაზღვრა. მასწავლებლებმა შემაყვარეს საგნები, რაც შემდეგ მთელ ჩემს ცხოვრებაზე აისახა.

წარმატების რამდენიმე მიზეზი

ბევრი რამ, ალბათ, უფრო მეტად შრომისმოყვარეობამ შემაძლებინა. შემიძლია მიზნის მისაღწევად თავი არ დავზოგო. მასწავლებლობის გარდა, როგორც გითხარით, დოქტორანტურაში ვსწავლობ და გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებას ვიკვლევ. მომეცა შესაძლებლობა, სამეცნიერო მივლინებით გერმანიაში წავსულიყავი. იქ გრიგოლ რობაქიძის უცნობ საარქივო მასალას მივაკვლიე და საერთაშორისო კონფერენციაშიც ვმონაწილეობდი. ამან არა მარტო როგორც მასწავლებელი, არამედ როგორც ადამიანი გამზარდა. საქართველოს საზღვრებს გარეთ რომ აღმოვჩნდი, უფრო ნათლად დავინახე ჩემი ქვეყნის ძლიერი და სუსტი მხარეები. მაგალითად, ინკლუზიური განათლებით პირველად გერმანიაში დავინტერესდი. მაშინ დავისახე მიზნად, ამ მიმართულებით რაიმე გამეუმჯობესებინა. მივხვდი, უპირველეს ყოვლისა, ცნობიერების ამაღლებაზე უნდა მემუშავა. დავბრუნდი საქართველოში და საკუთარი თავით დავიწყე, შემდეგ მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებაზე ვიზრუნე. წარმატებაში ძალიან დამეხმარა ისიც, რომ უნივერსიტეტში, განათლებისა და ფსიქოლოგიის მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ქალბატონმა ქეთევან ჭკუასელმა ლექტორად მიმიწვია. უკვე ხუთი წელია მაგისტრანტებს, რომლებიც ქართულის მასწავლებლობას აპირებენ, ლექციებს ვუკითხავ. ესეც ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა იყო – მათთვის უნდა მესწავლებინა და თან საკუთარ მაგალითზე მეჩვენებინა, რა საინტერესოა ქართულის მასწავლებლობა. ერთი მხრივ, ძალიან საპასუხიმგებლო საქმიანობაა, მეორე მხრივ, თუ გიყვარს და ბოლომდე იხარჯები, ძალიან სასიამოვნოც.

არ შემიძლია, ჩემს წარმატებაში არ დავასახელო ჩემი ოჯახის როლიც. რომ არა მათი მხარდაჭერა (ორი მცირეწლოვანი შვილი მყავს და ღამის თევების ხარჯზე არ არის მარტივი ასეთ რეჟიმში მუშაობა), ვერაფერს გავხდებოდი. როცა გრძნობ მათ ხელშეწყობას, ზრუნვას, შინაგანად ყველაზე მეტად ძლიერდები და მეტის კეთების სურვილი გიჩნდება.

დაბოლოს, წარმატების ყველაზე მთავარი მიზეზი – ბავშვები. როცა ვხედავ, მათ რაღაც ახარებთ, შემიძლია, ყველაფერი გვერდზე გადავდო, ბავშვების ბედნიერებით აციმციმებული თვალები ყველაფერს მავიწყებს.

რა სჭირდება ქართველ მოსწავლეს და მასწავლებელს

პირად მაგალითზე გეტყვით. როცა მასწავლებლობა დავიწყე (მართალია, პატარა ვიყავი), მეგონა, რასაც ვიტყოდი, ის აუცილებლად უნდა მიეღოთ მოსწავლეებს. სულ მალე, ბავშვებთან ურთიერთობამ მასწავლა, რომ ერთადერთი ჭეშმარიტება არ არსებობს და თუ მოსწავლე არ დამეთანხმება, ეს ბუნებრივიცაა. ამან კიდევ უფრო გამზარდა, ისე, როგორც შეცდომების აღიარებამ. მაგალითად, როდესაც შემაჯამებელ დავალებას ვასრულებთ და ვხედავ, რომ სასურველ შედეგს ვერ ვიღებთ, პრობლემებს სწავლების მეთოდშიც ვეძებ და მხოლოდ ბავშვს არ ვადანაშაულებ, რომ კარგად ვერ მოემზადა. თუკი მასწავლებლებს შეცდომის აღიარების უნარი ექნებათ, მაშინ რაღაცები უკეთესობისკენ აუცილებლად შეიცვლება.

ბავშვებს კი მეტი არაფორმალური განათლება სჭირდებათ, ისეთი აქტივობები და ყოველდღიური სასკოლო ცხოვრება, რომელიც, სკოლის მიღმა აღმოჩენილებს, ცხოვრებისეულ გამოწვევებზე პასუხებს აპოვნინებს, მათ უნდა მოახერხონ კრიტიკულად აზროვნება პრობლემების გადაჭრისას. თუკი უფრო მეტად შეძლებენ კრიტიკულ აზროვნებას, ვფიქრობ, მეტ წარმატებას მიაღწევენ და უფრო ბედნიერებიც იქნებიან.

გაკვეთილის მიღმა

შვილებს სჭირდებათ დედა, რომელიც მათთან ითამაშებს. ეს ძალიან მაკლია და სულ ვცდილობ, წუთები გამოვსტაცო

პროფესია მასწავლებელი

ცხოვრებას და ბავშვებს ვეთამაშო, მაწუხებს, რომ ამისთვის სათანადო დროს ვერ ვპოულობ.

ჩემი უსაყვარლესი ადგილი, სადაც არ შემიძლია, რომ დიდხანს არ მივიდე, საჯარო ბიბლიოთეკაა, ბიბლიოთეკარები მცნობენ და მომიკითხავენ ხოლმე – ეს არის სივრცე, სადაც ყოფნა ძალიან მეხმარება, გავხდე უკეთესი.

ბოლო თვეების განმავლობაში, გაზაფხულიდან მოყოლებული დეკემბრის ჩათვლით, ჩემი ცხოვრების ყოველდღიურობის ნაწილი გახდა გერმანულენოვანი ქართველი მწერლის, ნინო ხარატიშვილის, „მერვე სიცოცხლე“. რომანი გერმანიაში აღიარებული ბესტსელერია და არაერთ ენაზეა თაგმნილი, მალე ქართულად გამოიცემა, მე ერთ-ერთი რედაქტორი ვარ. თვეების განმავლობაში ვიცხოვრე ამ რომანთან ერთად.

რამდენიმე უსაყვარლესი წიგნი ბავშვობიდან მომყვება. მაგალითად, „ბულერბიელი ბავშვები“ და „გრძელფეხება მამილო“. ერთი წლის წინ წავიკითხე „თევზი ხეზე“, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ჩემზე. ვფიქრობ, ეს ყველა მასწავლებელს უნდა ჰქონდეს წაკითხული. მთავარი პერსონაჟი სსსმ მოსწავლეა, რომელსაც წერა-კითხვის უნარის დარღვევა აქვს. წიგნის წაკითხვის შემდეგ ბევრი რამ სულ სხვა თვალით დავინახე. იმის შემდეგ ვცდილობ, რაც შეიძლება მეტ ადამიანს მივაწვდინო ხმა, რომ ეს ნაწარმოები წაიკითხონ.

სიყვარულის გარეშე საქმის კეთება გამორიცხულია

რთულია მოწოდება, რომ ახალგაზრდები მაინცდამაინც ამ პროფესიისკენ წავიდნენ. მთავარია, თავად ჰქონდეთ სურვილი, გახდნენ მასწავლებლები, ყური დაუგდონ საკუთარ სურვილებს და გაითვალისწინონ, მიზნის მისაღწევად და ოცნებების ასახდენად ძალიან ბევრი შრომა და მონდომებაა საჭირო. ჩემ შემთხვევაში ასე მოხდა. რაც მთავარია, სიყვარულის გარეშე გამორიცხულია საქმის კეთება, მით უმეტეს, მასწავლებლობა. ნებისმიერ პროფესიაში შეიძლება იყო რეალიზებული, თუ საქმეს სიყვარულით აკეთებ. როცა ამ პროფესიას ვირჩევდი, ჩემ ირგვლივ თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა სკეპტიკურად უყურებდა ჩემს არჩევანს, მაგრამ მე ვიცოდი, რომ მინდოდა მასწავლებლობა და მიზნის მისაღწევად უკან არაფერზე დავიხევდი. როცა მტკიცედ მიდიხარ მიზნისკენ, მაშინ სხვების თვალით დანახული უპერსპექტივობა არაფერს ნიშნავს, მთავარია, შენ ირწმუნო და მერე სხვებიც ირწმუნებენ.

ბედნიერება ქულებზე არ იცვლება

ცნება „კარგი მოსწავლე“ ძალიან პირობითია და მე არასოდეს ვყოფ მოსწავლეებს კარგებად და ცუდებად, არც ნიშნების მიხედვით ვაჯგუფებ, მეტიც, ამის სასტიკი წინააღმდეგი ვარ. მთავარია, მოსწავლე იყოს ბედნიერი და წარმოჩენილი, მისი ბედნიერება კი ქულებზე არ იცვლება. თითოეულ ბავშვში არსებობს ინდივიდუალური შესაძლებლობა და ნიჭი, ჩვენი ფუნქცია ზუსტად ეს არის – ვეძებოთ ის, რაც ინდივიდში იმალება და ხელი შევუწყოთ მის განვითარებას.

ლალი ჯელაძე

ინფორმაცია

სკოლებიდან აკრძალული ნივთები ამოიღეს

მანდატურის სამსახურმა საქართველოს სკოლებიდან, სექტემბრიდან დღემდე, 485 სკოლიდან 853 აკრძალული ნივთი ამოიღო – ცეცხლსასროლი იარაღი, დანა, ბანქო, ასაფეთქებელი ან მომწამვლელი ნივთიერება, კასტეტი, ელექტროშოკი. როგორც ირკვევა, სკოლაში მოსწავლეებს ალკოჰოლიც შეაქვთ.

უფრო ზუსტად კი – *„საანგარიშო პერიოდში სკოლიდან 1 ცეცხლსასროლი იარაღი, 56 დანა, 13 ბასრი საგანი, 3 ბლაგვი საგანი, 25 ბანქო, ან სხვა აზარტული საშუალება, 3 ასაფეთქებელი ან მომწამვლელი ნივთიერება, 26 კასტეტი ამოიღეს. ასევე დაფიქსირდა ყურსასმენის გამოყენების 4 ფაქტი, 294 – თამბაქო და სანთებელა (ასანთი), 73 საახალწლო ასაფეთქებელი (პიტარდა), 80 ელექტროსიგარეტი, 1 ელექტროშოკი (ტარება), 33 ნარკოტიკის მოხმარებისთვის საჭირო ნივთი, 21 ალკოჰოლის შეტანის შემთხვევა სკოლის ტერიტორიაზე, 20 სავარაუდო ნარკოტიკის შეტანა.“*

მართალია, დღეს მანდატური მოსწავლეს არ ჩხრეკს, მაგრამ, მიღებული საეჭვო ინფორმაციის შემდეგ, მეტალოდეტექტორით ამოწმებს და ზედაპირულ დათვალიერებას ახორციელებს, ამ პროცესს სკოლის დირექციის წარმომადგენელიც ესწრება.

„2019 წლის პირველი თებერვლიდან, საქართველოს მასშტაბით, სკოლებში, ჯამში, 1435 უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება განხორციელდა. აქედან, თბილისში – 905, ქვემო ქართლში – 152, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 95, იმერეთში – 86, შიდა ქართლში – 71, აჭარაში – 70, სამცხე-ჯავახეთში – 28, მცხეთა-მთიანეთში – 12, კახეთში – 10, გურიაში – 6; გამოვლინდა 66 ათასამდე დარღვევა, მათ შორის, აკრძალული ნივთი 853 შემთხვევაში ამოიღეს.“

როგორც 51-ე სკოლის ყოფილი დირექტორი **დავით ლაგვილავა** აცხადებს, ამ შემაშფოთებელი სტატისტიკის მიუხედავად, ვითარება სკოლებში ბევრად უფრო საგანგაშოა. დირექტორები ხშირად საეჭვო გარემოებებს მალავენ, რადგან სკოლებში უსაფრთხო გარემოს შექმნა, პირველ რიგში, მათი პასუხისმგებლობაა.

შსს მინისტრის მოადგილე **ნათია მეზვრიშვილი** ამბობს, რომ ყველა ის ფაქტი, რომელიც სასწავლო დაწესებულებებში ნარკოტიკის, ალკოჰოლისა და ცეცხლსასროლი იარაღის შეტანას უკავშირდება, სწორედ ძალოვანი უწყების მიერ არის გამოვლენილი და სტატისტიკა, წინა წელთან შედარებით, გაზრდილი არ არის. მინისტრის მოადგილე შს სამინისტროს და მანდატურის სამსახურის კოორდინირებულ მუშაობაზე მიუთითებს და პირობას დებს, რომ პასუხისმგებლობა დაეკისრება ყველას, ვისი დანაშაულიც სკოლებში არსებული კრიტიკული მდგომარეობის გამო გამოიკვეთება.

„ეს მონაცემები დასტურია იმისა, რომ მანდატურის სამსახური, კანონის ამოქმედების შემდეგ, ეფექტურად მუშაობს, ახდენს შესაბამისი დარღვევების გამოვლენას და იქ, სადაც დანაშაულის ნიშნები იკვეთება, აწვდის ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს. ჩვენი ამოცანა რაც იყო, რომ გაგვეზარდა კოორდინაცია პოლიციასა და მანდატურის სამსახურს შორის, მიღწეულია. დღეს კოორდინაცია არსებობს და დანაშაულის ყველა ფაქტზე პოლიცია ეფექტურად რეაგირებს,“ – განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, 2018 წლის 17 სექტემბრიდან 2019 წლის აპრილამდე, საჯარო სკოლებში პოლიცია 374 შემთხვევაში გამოიძახეს. სკოლებში, სადაც საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურია წარმოდგენილი, მოზარდებს შორის 2 396 კონფლიქტური სიტუაცია (სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა) მოხდა. საჯარო სკოლებში, ჯამში, 66 ათასამდე დარღვევა გამოვლინდა, აქედან 64 780 შემთხვევაში – დისციპლინური დარღვევა.

ყველაზე საგანგაშო, ალბათ, ის არის, რომ აკრძალული ნივთების გარდა, შემოწმებისას, მოსწავლეებს ნარკოტიკიც აღმოუჩინეს, ასეთი 20 შემთხვევა დაფიქსირდა.

გაფორმდა მემორანდუმი

საჯარო სკოლებში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვისა და ხელმისაწვდომობის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და კომპანია Microsoft-ს შორის მემორანდუმი გაფორმდა, რომელსაც ხელი მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა** და „Microsoft საქართველოს“ წარმომადგენელმა, **ქეთევან რატიანმა** მოაწერეს.

მემორანდუმის ფარგლებში, სამინისტროსა და Microsoft-ს შორის ერთობლივი პროექტები განხორციელდება, რომლებიც გაამარტივებს და ხელს შეუწყობს სისტემაში მიმდინარე რეფორმის განხორციელებას. Microsoft-ის აქტიური ჩართულობით, სკოლებში ტექნოლოგიების დანერგვის პროცესში უზრუნველყოფილი იქნება როგორც საერთაშორისო ექსპერტთა კონსულტაციები, ასევე სხვადასხვა სასწავლო მასალებზე წვდომა, მასწავლებლების გადამზადება და სხვა. შედეგად, სწავლისა და სწავლების პროცესში გაუმჯობესდება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა, ამასთან, პედაგოგებს შესაძლებლობა ექნებათ საკლასო ოთახში გამოიყენონ ტექნოლოგიები და მოსწავლეებს განუვითარონ შესაბამისი უნარები.

სკოლებში ინოვაციების დანერგვის ფარგლებში, Microsoft-თან და ტალინის უნივერსიტეტთან აქტიური თანამშრომლობით, სასწავლო პროცესში, ციფრული საგანმანათლებლო რესურსები დაინერგება.

ქართველი მოსწავლეების წარმატება მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე

კიევში დასრულდა ევროპის გოგონათა მათემატიკის მერვე საერთაშორისო ოლიმპიადა, რომელშიც მსოფლიოს 49 ქვეყანა (მათ შორის აშშ, იაპონია, ბრაზილია, ავსტრალია და სხვ.) მონაწილეობდა. საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა, რომელიც კომაროვის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული, საკუთარი შედეგი გააუმჯობესა და, ისტორიაში პირველად, ოქროს მედალი მოიპოვა.

საქართველოს ნაკრებმა საუკეთესო შედეგი აჩვენა: 1 ოქრო, 2 ვერცხლის მედალი და 1 საპატიო სიგელი; გუნდურ ჩათვლაში, ევროპის ქვეყნებს შორის, მე-8 ადგილზე გავიდა, ხოლო საერთო ჩათვლაში მე-11 იყო. ოქროს მედალი **ანა ონოფრიშვილიმა** მოიპოვა, **თამარ კორკოტაშვილმა** და **მარიამ ივარდავამ** – ვერცხლის, ხოლო **ქეთი სულამანიძე** საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. საპატიო სიგელის მფლობელი გახდა, ასევე, **ანა-მარია მექერიშვილი**, რომელიც ჰოლანდიის გუნდის სახელით მონაწილეობდა.

გოგონათა ევროპის ოლიმპიადას მათემატიკაში, 2021 წელს, საქართველო, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი უმასპინძლებს. წელს ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყანა უკრაინა იყო და სწორედ კიევში გახდა ცნობილი, თუ სად ჩატარდებოდა ოლიმპიადა მომდევნო ორ წელიწადში. უნივერსიტეტის რექტორატის ინიციატივას, უმასპინძლონ ამ უდიდეს ფორუმს, ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ისტორიაში, მსგავსი დონის და მასშტაბის მათემატიკური ფორუმი (ოლიმპიადა, შეჯიბრი) ჩვენთან არ გამართულა.

ნაკრები გუნდის ოლიმპიადაზე მონაწილეობა დაფინანსებულია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ „საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადები“ ქვეპროგრამის ფარგლებში.

საქართველოს ნაკრები ოლიმპიადაში უკვე მესამე წელია მონაწილეობს.

ՍԱՄՈԴԵԼՈՎ ԳԱԿՎԵԹԻԼԻ

Մարդու կմախքը

ՍԿՈԼԱ: ճոնոՇՄոնդուն Մ ՄՈՒՆԻՑԻՊԱԼԻՏԵՏԻ ՍՈՓԵԼ ՓՈԿԻ ՍԱՀՄԱՆԱԿԱՑԻ ՍԿՈԼԱ
ՄԱՍՈՒՑԱՎԱՐԱՆ: ԴԵՂՁԱՆԻԿ ԱԼՎԱՆՅԱՆ
ՍԱԳԱՆ: ԿԵՆՍԱԲԱՆՈՒԹՅՈՒՆ
ԴԱՍԱՐԱՆ: 9-ՐԴ
ԳԱԿՎԵԹԻԼԻ ԹԵՄԱ: „ԱԴԱՄԻԱՆԻ ՀՈՆՀԻՀՈ"
ՄԻՆՉԵՎ ՈՒՍՈՒՑՄԱՆ ԱՐԴՅՈՒՆՔՈՒՄ ԱՊԱՀՈՎՎՈՂ ԳԻՏԵԼԻՔՆԵՐԸ: ՄՈՍՈՒՑԱՎԱՐԸ ՀԱՄԱՐՈՒՄ ԱՆՀՐԱԺԵՇՏ ԵՆ ԱՌԱՆՑՔԱՅԻՆ ՄԱՍՆԱԳԻՏԱԿԱՆ ՀԱՄԱԿԱՐԳԻ ՄԱՍԻՆ ԵՎ ՀԱՄԱԿԱՐԳԻ ՀԻԳԻԵՆԱՅԻ ՄԱՍԻՆ:
ՄԻՆՉԵՎ ՈՒՍՈՒՑՄԱՆ ԱՐԴՅՈՒՆՔՈՒՄ ՁԵՌՔԲԵՐՎԱԾ ՀՄՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԸ: ՄՈՍՈՒՑԱՎԱՐԸ ԿԱՐՈՂԱՆԱ ՕԳՏԱԳՈՐԾԵԼ ՏԵՍԱԿԱՆ ՕԳՆՈՒԹՅՈՒՆՆԵՐ ԱՇԱԿԵՐՏՆԵՐԻ ՀԱՄԱՐ ՆՐԱՆՑ ՀԱՄԱՐ ՀԱՄԱԿԱՐԳԻ ՀԻԳԻԵՆԱՅԻ ՄԱՍԻՆ:

Դասի պլան

ՈՒՍՈՒՑԻՉ. Դեղձանիկ Ալվանջյան
Առարկա. Կենսաբանություն, դասարան 9-րդ
Թեմա. „Մարդու կմախքը", ժամանակը 40ր
Աշակերտների պրոֆիլը. 15
Դասի նպատակը. կարողանան կմախքի մարկերտի վրա ճիշտ անվանել տարբեր ոսկորների անվանումները,բաղադրությունը ոսկորային համակարգի նշանակության մասին:Կարողանան անվանել ոսկրային միացումների տեսակները:
Ազգային ուսումնական պլանի չափորոշիչը.
Կենսաբանություն 5. Աշակերտը կարող է բնութագրել մարդու օրգանիզմի անատոմիական և ֆիզիոլոգիական առանձնահատկությունները:Մարդու կմախքի հիմնական մասերը,կարող է բնութագրել աշակերտը ոսկորների միացման տեսակները կմախքի և դիմային մկանները:
Հենաշարժիչ համակարգի հիգենան և I օգնությունը կմախքի տարբեր տեսակի վնասվածքների ժամանակ:
Ուղղորդող հարցերի միջոցով պարզել աշակերտների նախնական գիտելիքները հենաշարժիչ համակարգի մասին:Ըստ ստացած տվյալների նորի կառուցում:
Գնահատում և ինքնագնահատում խմբի անդամի գնահատում.
Որոշող ընթացիկ, զարգացնող լուսակիրներ,մեկնաբանություն մուտքի և ելքի տոմս:Գնահատման անիվ խմբի անդամին գնահատելու համար:
Ուսումնական նյութը և ռեսուրսները.
Տեքստ,դիդակտիկ նյութեր, պլակատներ,սխեմաներ,մատիտներ,տարբեր խաղային աշխատանքներ,մարդու կմախքի մակետներ:
Ակտիվություն 1. 5 ր անհատական դասարանային կազմակերպչական մաս և աշխուժացնող աշխատանք:Աշակերտը կարողանա լրացնել գրատախտակին պատկերված սխեմատիկ նկարները:
Ակտիվության նկարագիրը.
Աշակերտը կարողանում է գրատախտակի սխեմատիկ նկարների վրա ճիշտ պատկերել ոսկորների կառուցվածքը,տեսակներ,միացումներ:
Ակտիվություն 2. 10ր խմբերով, անհատական ակտիվության նպատակը, Աշակերտը կարողանա նկարների վրա ցույց տալ ոսկորների միացման ձևերը,հենաշարժիչ համակարգի ֆունկցիաները:
Ակտիվության նկարագիրը.
Աշակերտը կարողանում է նկարների վրա ճիշտ ցույց տալ ոսկորների միացման ձևերը:
Աշակերտը բերում է առնվազն երեք փաստարկ օրգանիզմի համար ոսկրային համակարգի նշանակությունը հիմնավորելու համար:Առանձին աշակերտներ կարողանում են ճիշտ աշխատել խաղաքարտերի հետ:
Ակտիվություն 3. 10ր խմբերով անահատական
Ակտիվության նպատակը.
Աշակերտները կարողանան կատարել թեստային աշխատանքներ,որոնք վերաբերվում են թեմային:
Ակտիվության նկարագիրը.
Աշակերտը կարողանում է ճիշտ կատարել թեստային աշխատանքը:
Ակտիվություն 4. 14ր անահատական
Ակտիվության նպատակը.
Աշակերտը կարողանա օգնել նոր դասի մատուցմանը:
Ակտիվության նկարագիրը.
Աշակերտը կարողանում է ճիշտ պատասխանել հարցերին, որը օգնում է նոր դասի մատուցմանը:
Տնային աշխատանքի հանձնարարում:
Լրացնել ինքնագնահատման թերթիկը և ելքի տոմսը:

* * *

Իմ պրակտիկայի ընթացքում կազմակերպել եմ բազմաթիվ նախագծեր,կոնֆերանսներ,բաց դասեր,որոնք բարձրացրել են աշակերտներիս ինքնավստահությունը և սերը առարկայի նկատմամբ:Այդ դասերից մեկն էլ համարվում է „Մարդու կմախքը" թեմայով դասը:Դասի թեման ճշտելուց հետո,բոլոր աշակերտները առանց խտրականության,ըստ կարողության սկսում են աշխատել:
Անընդհատ ավելացնում եմ անուղղակի ուսուցման ձևը,որտեղ աշակերտը ակտիվ մասնակից է: ՈՒսուցչի օգնությամբ կառուցում է գիտելիքը :
Սահմանում եմ դասի նպատակները,որոնք պետք է համապատասխանեն ազգային ուսումնական պլանին:
Կատարում եմ համապատասխան մեթոդների ընտրություն,որոնք համապատասխանում են ակտիվություններին,դասարանի կազմակերպման ձևերին,տեխնիկապես դրա իրականացման հնարավորություններին:Ինչպես պետք է Աշխատեցնել աշակերտներին՝ անհատապես,խմբերով,զույգերով,թե ամբողջ դասարանի հետ:
Ակտիվությունները ընտրելիս հաշվի եմ առնում թե արդյոք կօգնեն նպատակին հասնելու
համար,հերթականությունը,քանակը:Համապատասխանի տվյալ դասարանի աշակերտների հմտության կարողություններին:
Ընտրում ենք ճիշտ ռեսուրսներ:
Իսկ ռեսուրսների ճիշտ ընտրությունը ուսումնական գործընթացը ճիծտ վարելու նախապայմաններից մեկն է:
Նախապատրաստում ենք միջավայրը: Նախապես աշակերտներիս հետ ճշտում ենք գնահատման ձևերը[զարգացնող,որոշող]:Կատարում ժամանակի բաշխում:
ՈՒշադրություն եմ դարձնում 1 փուլին;ՈՒղղորդող հարցերի միջոցով պարզաբանում եմ աշակերտների նախնական գիտելիքները:Որից հետո անցնում ենք տարաբնույթ հետազոտական աշխատանքների, ինքնուրույն ,խմբային աշխատանքներ և այլն:
Վերջին փուլում աշակերտները ներկայացնում են աշխատանքների արդյունքները,քննարկում,ամփոփում:
Գնահատում [ինքնագնահատում,խմբի անդամի գնահատում,գնահատման խորագիր] և տնային հանձնարարություն:
Դասից հետո վերլուծում ենք.
• Ճիշտ էին արդյոք ընտրված մեթոդները:
• Ժամանակի բաշխում որքանով էր իրատեսական:
• Արդյոք իրականացման դասի նպատակներին հասնելու ակնկալիքները և ինչ չափով;
• Ինչը կարելի էր ավելի ճիշտ կազմակերպել և ինչպես:
ՈՒսուցչի դրական հետադարձ կապը բարձրացնում է աշակերտների մոտիվացիան:

ԴԵՂՁԱՆԻԿ ԱԼՎԱՆՅԱՆ
ճոնոՇՄոնդուն Մ ՄՈՒՆԻՑԻՊԱԼԻՏԵՏԻ ՍՈՓԵԼ ՓՈԿԻ ՍԱՀՄԱՆԱԿԱՑԻ ՍԿՈԼԱՅԻ ՊԵԴԱԳՈԳ



სასკოლო აქტივობა

გაბნეული მარგალიტების კვალდაკვალ...

ჩემი, როგორც სიტყვიერების მასწავლებლის, ინტერესის სფერო ყოველთვის გახლდათ ძველი ქართული წეს-ჩვეულებები, სარიტუალო თუ საყოფაცხოვრებო მოქმედებები, ზეპირი გადმოცემები. ქართული ფოლკლორი უმდიდრესია, გურულების სიბრძნე კი მეტად თავისთავადი და მრავალფეროვანი.

სწორედ ქართული ფოლკლორის კვლევისა და შესწავლის მიზნით, 2018 წლის დეკემბერში, ჩამოვაყალიბე ნორჩ ფოლკლორისტთა წრე – „მარგალიტები". შევარჩიე მოსწავლეები, რომლებიც დაინტერესებული არიან ქართული ზეპირსიტყვიერებით და შევთავაზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში, გამოკითხვის მეთოდით, ჩაეწერათ სხვადასხვა ჟანრის ხალხური ნაწამოებები: ბალადები, ზღაპრები, თქმულებები, ლექსები, შაირები, ანდაზები და სხვა.

ფოლკლორის წრეში გაერთიანებულ მოსწავლეებთან ერთად შევადგინეთ პროექტის გეგმა, თითოეული საკითხის მოძიება დაეკისრა გარკვეულ ჯგუფს, განსაზღვრულ დროში. შემდეგ შეგროვდა და აეწყო მოძიებული მასალები.

წრის სლოგანია: „მივუსწროთ, შევკრიბოთ, გადავარჩინოთ". წესდების მიხედვით, მასში გაერთიანების უფლება აქვთ V-XI კლასების მოსწავლეებს. თითოეული ვალდებულია, დაესწროს შეკრებებს, აირჩიოს ლიდერი, დაწეროს და განახორციელოს პროექტი.

პირველ სამუშაო შეხვედრაზე ბავშვებს გავაცანი სამუშაო წესდება, ავუხსენი, რა არის ხალხური ზეპირსიტყვიერება და, რადგანაც შობა-ახალი წელი გვიახლოვდებოდა, დავავალე, მოეძიათ მასალები გურიაში გავრცელებულ ხალხურ დღესასწაულებზე. წრის წევრებმა მასალა ხალისითა და ენთუზიაზმით შეაგროვეს. მე მათ მცირე ხარვეზები ჩავუსწორე, რის შემდეგაც ბავშვებმა თავიანთი მოძიებული „მარგალიტები" წარმოადგინეს.

მე-10 კლასის მოსწავლე **ელენე ნიკოლაიშვილმა** გაგვაცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთის ძველისძველი სახალხო დღესასწაული – ლელობურთი; **ნინი პეტროსიანმა** და **მარიამ მიქატაძემ** ერთობლივად წარმოადგინეს ბახმაროს დოღის შესახებ მოპოვებული საინტერესო მასალა; გურულ კალანდას მერვეკლასელების – **ნია ურუშაძისა** და **ნანო გაბედავას** მეშვეობით გავეცანით; ოზურგეთის სახალხო ზეიმზე „ალეგრობა", მრავალფეროვანი სლაიდშოუს დახმარებით, **მარი მელაძე** და **მარი ბასილაშვილი** გვესაუბრნენ.

წრის გაერთიანებამ შემდეგი დავალებაც ხალისით მიიღო. ეს გახლდათ გურული წყევლა-კრულვა და შელოცვები, რომლებსაც ასევე დიდი წარმატებით გაართვეს თავი.

გურული წყევლა-კრულვა (მთქმელი – **ვერა ანთელიძე**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ ლიხაური) მე-8 კლასის მოსწავლეებმა, **ლუკა რუსიეშვილმა** და **ნია ურუშაძემ** ჩაიწერეს; წყევლის ორიგინალური ნიმუში გაგვაცნეს მეათეკლასელებმა, **ნიკა კილაძემ** და **გიორგი გორდელაძემ** (მთქმელი – **ლალი დოლიძე**, 73 წლის, მცხოვრები სოფელ გურიანთაში); გურიაში გავრცელებული შელოცვები ჩაიწერა მე-10 კლასის მოსწავლემ, **მარი არობელიძემ** (მთქმელი – **ლალი ბასილაშვილი**, სოფ დვაბზუს მკვიდრი, პედაგოგი, 69 წლის); შელოცვების საინტერესო ვარიანტი შემოგვთავაზა მთქმელმა, **მარიამ ჯინჭარაძემ** (78 წლის, სოფ გურიანთა), ჩაიწერა მე-9 კლასის მოსწავლემ, **ანა ურუშაძემ**.

მე-3 შეხვედრის თემაც დავგეგმეთ: კლუბის წევრი ვაჟები, მათივე ინიციატივით, ჩვენი კუთხის ნადირობის წეს-ჩვეულებებს მოიძიებენ. ამ მიზნით ისინი ესტუმრებიან სოფელ მაკვანეთის მკვიდრს, ბატონ **ილო თოიძეს**, განთქმულ მონადირეს, ძაღლის უნიკალური ჯიშის (გადაშენების პირას მყოფი) – ჩაქირას მფლობელს.

აუცილებლად მინდა აღვნიშნო ისიც, რომ მუშაობისას ზედმიწევნით ვიცავთ უსაფრთხოების ზომებსაც. გარდა ამისა, წრის ყველა წევრმა კარგად იცის, რომ პლაგიატორი წრიდან გაირიცხება. მათ ევალებათ, თავად ჩაიწერონ და მოიძიონ ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.

ჩვენი წრის შექმნიდან არც ისე დიდი დროა გასული, მაგრამ გარკვეული შედეგები უკვე გვაქვს – მოსწავლეებისთვის ეს სფერო საინტერესო და სახალისო აღმოჩნდა. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მათ გაუჩნდათ პატივისცემა, ჩვენი ხალხის მიერ, დღემდე მოტანილი სულიერი საგანძურისადმი, ასევე მშობლიურ მხარეში მოგზაურობისა და სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული „მარგალიტების" მოძიებისა და გადარჩენის სურვილი.

მარინა თოიძე
ფოლკლორის წრის კურატორი, ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული მასალა:
http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=42&t=54341
ხალხური მთქმელები, რომლებისგანაც ჩავიწერეთ
სათანადო მასალა:
1. ვერა ანთელიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლიხაური, 75 წლის;
2. ლალი დოლიძე, ოზურგეთი, სოფ. გურიანთა, 73 წლის;
3. ლალი ბასილაშვილი, სოფ. დვაბზუ, 69 წლის;
4. მარიამ ჯინჭარაძე, სოფ. გურიანთა, 78 წლის.

პროექტ-გაკვეთილი

გეოგრაფიისა და ფიზიკის „ოქროს კვეთა"

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სასწავლო დისციპლინების შიგნით არსებობს გარკვეული ინტეგრაცია, თუმცა, ჩემი აზრით, გეოგრაფიის მასწავლებლებს, სხვა სასწავლო საგნებთან დანათესავების, ყველაზე ფართო არჩევანი გვაქვს.

თანამედროვე მოსწავლეები მუდმივად სვამენ შეკითხვებს: რატომ უნდა ვისწავლოთ ესა თუ ის საკითხი? რაში გამოგვადგება ეს ცოდნა? ისინი ჩვენგან არგუმენტირებულ პასუხებს ითხოვენ, ჩვენც ვალდებულნი ვართ, ვუპასუხოთ. პრობლემურ კითხვებზე პასუხებს მოსწავლეები, სტანდარტულ გაკვეთილებზე მეტად, პროექტ-გაკვეთილებში აქტიური ჩართვით პოულობენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მათ შეძლონ სხვადასხვა საგნის გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის დაკავშირება და პრაქტიკაში წარმატებით გამოყენება.

ჩემი მიზანი იყო: მოსწავლეებს დაენახათ კავშირი გეოგრაფიასა და ფიზიკას შორის, გასჩენოდათ მეტი ინტერესი გეოგრაფიულ გარსში მიმდინარე ფიზიკური პროცესების შესწავლის მიმართ; შესძლებოდათ სამყაროში მიმდინარე ფიზიკური და გეოგრაფიული კანონზომიერებების დანახვა, გეოგრაფიული ცოცხალი გარსის (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო და ანთროპოსფერო) მთლიანობის აღქმა და, რაც ყველაზე მთავარია, საკუთარი თავის დანახვა იმ გარემოში, სადაც ცხოვრობენ.

პროექტმა მოსწავლეებს შესძინა გეოგრაფიული და ფიზიკური კანონზომიერებების კვლევისათვის საჭირო უნარები:

- გარემოს სისტემური აღქმისა და ანალიზის უნარი;
- გეოგრაფიული და ფიზიკური მოვლენებისა და პროცესების სივრცე-დროითი ანალიზის უნარი;
- სხვადასხვა ტიპის წყაროდან ინფორმაციის ამოკითხვის, გაანალიზებისა და წარდგენის უნარი.

პროექტი ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და, მის ფარგლებში, შემდეგი აქტივობები განხორციელდა:

1. მიზნის განსაზღვრა;
2. აქტივობების/დავალებების დაგეგმვა;
3. ინფორმაციის მოძიება და დახარისხება;
4. ლოკალურ გარემოზე დაკვირვება და აღწერა, მარტივი ცდების ჩატარება;
5. პრობლემის დანახვისა და გადაჭრის გზების ძიება;
6. ინტეგრირებული გაკვეთილის (გეოგრაფია-ფიზიკა) ჩატარება, თემაზე „მსოფლიო ოკეანე და მისი თვისებები";
7. პოსტერების დამზადება;
8. პროექტის პრეზენტაცია.

ჩემს მოსწავლეებთან ერთად, ფიზიკის მასწავლებლის დახმარებით, ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტიდან გამომდინარე, შევარჩიეთ თემები, რომლებიც ფიზიკისა და გეოგრაფიის კონტექსტში გადაიკვეთებოდა.

შეიქმნა 5 ჯგუფი. ისინი იკვლევდნენ გეოგრაფიული გარსის შემადგენელი ნაწილებისა და ფიზიკის ურთიერთკავშირს:

I ჯგუფი – ლითოსფერო და ფიზიკა;
II ჯგუფი – ჰიდროსფერო და ფიზიკა;
III ჯგუფი – ატმოსფერო და ფიზიკა;
IV ჯგუფი – ბიოსფერო და ფიზიკა;
V ჯგუფი – ანთროპოსფერო და ფიზიკა.

პროექტმა მოსწავლეები გააააქტიურა სხვადასხვა კუთხით: პრობლემის გადაჭრის, გადაწყვეტილების მიღების, ძიების, დოკუმენტირების, კვლევის, შემოქმედებითი და სხვ. ყველა მოსწავლე მაქსიმალურად იყო ჩართული მუშაობის პროცესში, ჯგუფები დაკომპლექტებული იყო დასწავლის სხვადასხვა სტილის მქონე მოსწავლეებით (აუდიალები, ვიზუალები, კინესთეტიკები და შერეული), რამაც ყველა ჯგუფის თანაბარი წარმატება განაპირობა. ვცდილობდი, არ მიმეწოდებინა „მზა ცოდნა" და ხელს ვუწყობდი, თავად მისულიყვნენ სწორ დასკვნებამდე.

ჯგუფები მუშაობდნენ შემდეგი გეგმის მიხედვით:

- გეოგრაფიული და ფიზიკური მოვლენების ძირითადი კონ-

ცეფციებისა და კანონზომიერებების გააზრება;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისათვის საერთო ცნებებზე წარმოდგენების ჩამოყალიბება;
- საველე და ლაბორატორიული დაკვირვებების, მარტივი ექსპერიმენტებისა და ცდების განხორციელება;
- ტექნოლოგიების მიღწევების გავლენა-გაცნობიერება საზოგადოებასა და გარემოზე; მნიშვნელოვანი სამეცნიერო აღმოჩენების შეფასება; იმის გააზრება, რომ მეცნიერული შეხედულებები და მოსაზრებები, დროთა განმავლობაში, შეიძლება შეიცვალოს.

მოსწავლეები აკვირდებოდნენ გეოგრაფიულ და ფიზიკურ მოვლენებს, აგროვებდნენ მონაცემებს, ახარისხებდნენ კონკრეტული ჯგუფის მიზნიდან გამომდინარე. სხვადასხვა ფორმით (ცხრილებით, დიაგრამებით, გრაფიკებით და სხვ.) წარმოადგენდნენ თვისობრივ და რაოდენობრივ მონაცემებს, იწერდნენ, აკეთებდნენ დასკვნებს და მარტივ პროგნოზებს. მონაცემების მოპოვებისა და ორგანიზებისთვის აქტიურად იყენებდნენ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

პროექტის შეჯამება-შეფასება

მოსწავლეები საფუძვლიანად გაეცვნენ ბუნებაში მიმდინარე ფიზიკური პროცესების, კანონზომიერებების გავლენას გარემომცველ სამყაროზე. გაუძლიერდათ ინტერესი ფიზიკის საგნის მიმართ, ახლებურად შეხედეს გეოგრაფიას, შექმნეს ნახატები, მარტივი მოდელები და პოსტერები.

კვირის ბოლოს, მოსწავლეებმა გამართეს პროექტის პრეზენტაცია, რომელსაც სკოლის დირექცია და STEM-ის საგნების მასწავლებლები ესწრებოდნენ. მოსწავლეებმა სრულყოფილად, ერთ მთლიანობაში აღიქვეს გეოგრაფიული გარსი, გაიაზრეს მისი გეოსფეროების – ლითოსფეროს, ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს, ბიოსფეროს – კავშირი ფიზიკასთან.

ჩვენი საქმიანობის ეფექტურობა დიდწილად იმან განაპირობა, რომ ჩვენი სკოლა სრულადაა რეაბილიტირებული ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ, აღჭურვილია თანამედროვე საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიით.

პროექტის მიმდინარეობისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ არაფორმალური სწავლება და საგანთაშორისი ინტეგრირება მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების უმთავრესი სტრატეგიებია.

შორენა გაგნიძე
სსიპ სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

სტუმარი

ინტერვიუ ფილოლოგთან

როგორ წარადგენთ საკუთარ თავს? ვკითხე ჩემს რესპონდენტს, ოქტაი ქაზუმოვს. „ოქტაი ქაზუმოვი არის... ვფიქრობ, ჯერ არ ჩამოყალიბებულა, ისევ საკუთარი თავის ძიებაშია, თქვენ კი შეიძლება მარტივად დაწეროთ – ინტერვიუ ფილოლოგთან.“

ამ მარტივ მინაწერს ლევან ბრეგაძის წინასიტყვაობას დავურთავ, რომელიც გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ გამოცემულ ოქტაი ქაზუმოვის წიგნში „129 გვერდი ლიტერატურაზე“ გააკეთა.

„საქართველოს ახსოვს მოღვაწენი, რომლებიც ორი ან სამივე სამხრეთკავკასიური სახელმწიფოს კულტურას მსახურებდნენ. ამ წიგნის ახალგაზრდა ავტორი ერთ-ერთი მათგანია – ეთნიკური აზერბაიჯანელი, განათლებით – ქართული ფილოლოგიის სპეციალისტი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული), მოწოდებით – პოეტი, სარწმუნოებით – მუსლიმი. ორიგინალური აზრები, მახვილგონივრული მიგნებები, ზუსტი ფორმულირებები, თხრობის ლაღი მანერა ოქტაი ქაზუმოვის, ვითარცა ლიტერატორის, თვალსაჩინო ღირსებებია.“ ამას იმასაც დავამატებ, რომ მისი სახელის წარმომავლობა დაუდგრომლობის, სიცოცხლის ჟინის სიმბოლოა – „ოქ“ ისარს ნიშნავს, „თაი“ – კვიცს.

ოფიციალურად კი ასე წარვადგენთ: ოქტაი ქაზუმოვი – ლიტერატორი, მთარგმნელი, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი. თარგმნილი აქვს მირზა ფათალი ახუნდზადეს პიესა „გოტანიკოს მუსიე ჟორდანისა და ჯადოქარ მასთალი შაჰის ამბავი“, ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა“, აზერბაიჯანული პოეზია ქართულად, ქართული პოეზია აზერბაიჯანულად – ულვი გუნიადზადეს პოემა „სიცოცხლის გზა“. ამჟამად მუშაობს სადოქტორო თემაზე – „ქართული საგალოგლებისა და აზერბაიჯანული მარსიების შეპირისპირებითი ანალიზი (გლოვის ჟანრი)“. გოლო დროს, მცირე დოზით, ის სამოქალაქო აქტივისტადაც მოგვევლინა. თუმცა, ამ ყველაფრის შესახებ, უმჯობესია თავად მას, მართლაც საოცარი ქართულით მოსაუბრე ფილოლოგს მოვუსმინოთ და შევიგრძნოთ მისი თხრობის ლაღი მანერა, რამდენადაც ეს ერთ ინტერვიუშია შესაძლებელი.

გენებში გამჯდარი ფილოლოგობა

დავიბადე სოფელ ციხისძირში, ფილოლოგისა და მასწავლებლის ოჯახში. ფილოლოგობა გენებში მაქვს. დედაჩემის მამაც აზერბაიჯანული ლიტერატურისა და ისტორიის მასწავლებელი იყო. თბილისში, 64-ე სკოლაში აზერბაიჯანული სექტორის გახსნაც მის სახელს უკავშირდება. მამაც ფილოლოგია, 1983 წელს დაამთავრა ფილოლოგიის ფაკულტეტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ასე რომ, ლიტერატურასთან ურთიერთობა ბავშვობიდანვე დამყვა. ზღაპრების პარალელურად, მიკითხავდნენ სხვა ლიტერატურულ ტექსტებსაც. როცა მივხვდი, რომ ასე გემრიელი და კარგი ამბები წიგნებშია დაუნჯებული, გადავწყვიტე, რაც შეიძლება ახლოს ვყოფილიყავი მათთან. 10 წლისამ „ტომ სოიერი“ წავიკითხე, იქიდან მოყოლებული მივხვდი, რომ ჩემი თავი ვიპოვე.

მართალია, სკოლაში ფრიადოსნობით არ გამოვირჩეოდი, მაგრამ გამორჩეულად მიყვარდა ლიტერატურა – სხვათა შორის სკოლში გავლილ ქართულ ლიტერატურას დიდად არ ვწყალობდი მეათე კლასამდე. გატაცებული ვიყავი ისტორიით, ასევე კარგად ვსწავლობდი გეოგრაფიას. მოგვიანებით შემოვიდა საზოგადოებათმცოდნეობა. ჩემი სიყვარული საგნების მიმართ შეზღუდული იყო, ჰუმანიტარულ გზას მივყვებოდი, ვავლენდი რა აბსოლუტურ უმეცრებას ტექნიკურ საგნებში. მეათე კლასში კლასგარეშე ლიტერატურას ვკითხულობდი ძალიან ბევრს ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე, რაც შემხვდებოდა. მეათე კლასში შემოვიდა ქართული ენისა და ლიტერატურის არაჩვეულებრივი მასწავლებელი იზა ესიტაშვილი, მაშინ მომეცა ასპარეზი – ეს ასპარეზი გულისხმობდა თავისუფლებას იმ თვალსაზრისით, რომ შემეძლო პარალელების გავლება ხევისბერ გოჩას, მატეო ფალკონესა და ტარას ბულბას შორის. ამაში არავინ მზღუდავდა, პირიქით, მასწავლებელი მახალისებდა. მანამდე თუ ისტორიკოსობა მინდოდა, მეათე კლასში მივხვდი, რომ ჩემი მოწოდება ლიტერატურაა. გაკვეთილზე ხშირად იმართებოდა საინტერესო საუბრები და მთელი კლასი გაყუჩებული გვისმენდა მე და მასწავლებელს. დავრწმუნდი, რომ ფილოლოგი უნდა გავმხდარიყავი.

ბედისწერა – ძველი ქართული ლიტერატურა

როდესაც ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩავაბარე, ერთი რამ ნამდვილად ვიცოდი, რომ ძველ ქართულს არ გავყვებოდი, მეცხრე კლასში ძალიან გამაწვალა და იმიტომ. მაღიზიანებდა ის, რომ ნაწილობრივ მესმოდა და თან ვერ ვიგებდი ძველ ქართულ ენას. მესამე კურსზე, როდესაც უნდა გავყოფილიყავით ენისა და ლიტერატურის მიმართულებებით, რასაკვირველია, ლიტერატურა ავირჩიე. თუმცა, აქაც მომიწევდა არჩევანის გაკეთება უახლეს, ახალ და ძველ ლიტერატურასა და ფოლკლორს შორის. რადგან არსებობდა ბატონი რევაზ სირაძის კათედრა – „ქართული ქრისტიანული სიტყვიერებისა და კულტურის ისტორია “, – ბევრი ფიქრიც აღარ დამჭირვებია. ძალიან მიყვარდა ბატონი რეზო, ფაქტობრივად, ჩემი მოძღვარი, უფროსი მეგობარი იყო. პიროვნულმა სიყვარულმა და სიმპათიამ გადამაწყვეტინა, გავყოლოდი ამ მიმართულებას. ვკითხულობდით იოანეს სახარების იოანე ოქროპირისეულ განმარტებებს ექვთიმე ათონელისეულ თარგმანებში და ამით, ფაქტობრივად, ქრისტიანული კულტურის ესთეტიკას ვეცნობოდით. ბატონი რეზო ძალიან საინტერესო ადამიანი იყო, არა 100-კაციანი აუდიტორიის კაცი, არამედ პირდაპირ მისწრება 10-15-კაციანი ჯგუფისთვის. ისეთ საკითხებზე მსჯელობდა, რომელსაც ვერც სკოლაში და ვერც უნივერსიტეტში ვერავისგან მოისმენდი, რამაც დიდი სასიკეთო კვალი დააჩნია თითოეულ სტუდენტს.

შემდგომ, როცა ბაკალავრიატი დავამთავრე და მაგისტრატურაში ჩავაბარე, ბატონი რეზოს კათედრა გააუქმეს და მეც აღმოვჩნდი მონათესავე კათედრაზე – ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის. ფაქტობრივად, ერთი და იმავე სულისკვეთების მიმართულებებია. მივხვდი, რომ ჩემთვის ძველი ქართული ლიტერატურა ბედისწერასავით იყო. იმ წლებში, ჩემს სოფელში, ავიყვანე აბიტურიენტები – ჩემი ნათესავი ბავშვები. მათ როცა ვუხსნიდი „შუშანიკის წამებას“, აი, იქ ამეხილა თვალი. მაშინ დაიძლია ჩემსა და ძველ ქართულ ტექსტებს შორის გაუცხოება. მას შემდეგ, რაც ბატონ რეზოსთან გავიარეთ აზროვნების ესთეტიკა, ჩემთვის საცნაური გახდა მთელი ის დრამატიზმი, აზრის ესთეტიკური აგება, გადმოცემა, ლაკონიურობა, მხატვრული ხერხები, რაც „შუშანიკის წამებაშია“ მოცემული და მე შემიყვარდა ეს ტექსტი, როგორც წმინდა წყლის ტექსტი, როგორც ლიტერატურული ძეგლი. რა თქმა უნდა, არავითარ შემთხვევაში არ ვეწინააღმდეგები მის ისტორიულ თუ რელიგიურ სულისკვეთებას. მოგეხსენებათ, ივანე ჯავახიშვილმა ქართველი ერის ისტორიაში ის შეიტანა, როგორც ისტორიული ძეგლი, რასაც კრიტიკოსებიც გამოუჩნდნენ, რადგან ის შიშველ ისტორიას არ გვიყვება და ავტორს მხატვრულად აქვს გააზრებული. თუმცაღა, ეს დავის საგანია, აგიოგრაფიული ნაწარმოებები მხატვრული ტექსტებია თუ მხოლოდ წმინდა რელიგიური ხასიათისაა.

ლექსიკური „კეკლუცობის პოზა“

არასოდეს მინანია ეს არჩევანი, პირიქით, მეამაყება კიდეც, რომ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტი ვარ. თან ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუ ძველი ქართული ენა არ იცი, ვერ კითხულობ ძველ ტექსტებს და მათ სიტკბოებას ვერ წვდები, ვერ გექნება ქართული ენის ცოდნის პრეტენზია. ძველ ქართულში ძალიან ღირებული და ნიშნეულია არა მხოლოდ სიტყვები ეტიმოლოგიის თვალსაზრისით, არამედ აზრის გადმოცემა, წინადადებების წყობა. ამას რომ ეცნობი, ერთგვარად გითრევს კიდეც. მეც ასე დამემართა – ერთ დროს, ძალიან აქტიურად ვიყენებდი ძველი ქართულიდან სიტყვებსა და ფრაზებს, რაც ერთგვარ ირონიასაც ბადებდა. ხშირად კომიკურ სიტუაციაშიც მაგდებდა. ასეთივე გავლენა მოახდინა ჩემზე, ერთ დროს, კონსტანტინე გამსახურდიამაც – „მოვაო, რას ამბობს ის?“ – დაახლოებით ასე ვსაუბრობდი. ასეთი გავლენა იქონია ძველმა ქართულმა ენამ – მაგალითად, ტერმინები „გონებისა სიჩჩოებითა“ ან „ენითა მით თაფლმწთოლვარითა“ ჩემთვის აღტაცების შორისდებულებით ნათქვამი სიტყვები იყო. ვახდენდი კიდეც ჯეროვან ეფექტს მსმენელებზე, ანუ ეს ერთგვარ კეკლუცობის პოზადაც მექცა. შემდეგ, რა თქმა უნდა, ყველაფერი დაიწმინდა და დღეს ვკითხულობ როგორც თანამედროვე რომანს, ისე ჰაგიოგრაფიულ ჟანრის ლიტერატურასაც ვეცნობი, რადგან მიმაჩნია, რომ მხოლოდ იმას არ უნდა ვკითხულობდეთ, რაც პროგრამით მოგვეცა, თუ ხარ ძველი ქართულის სპეციალისტი, კეთილი უნდა ინებო და რაც კი ამ სამყაროს ეხება, შეძლებისდაგვარად, ყველაფერი წაიკითხო.

საკრალური მომენტი – უნივერსიტეტისადმი სიყვარული

ძალიან საკრალური მომენტია ჩემი უნივერსიტეტისადმი სიყვარული. მამაჩემი, როგორც თსუ-ს კურსდამთავრებული, ყოველთვის ფასობდა საზოგადოებაში. თუ სხვა უმაღლეს კურსდამთავრებულებს, რომლებიც ჩვენს სოფელში იყვნენ (მაგალითად, ტექნიკური უნისვერსიტეტის ან სულხან-საბა ორბელიანის და ა.შ.), ცხვირს აუბზუებდნენ, მამაჩემზე, ნამდვილი უნივერსიტეტი დაამთავრაო, იტყოდნენ ხოლმე. მის დიპლომზე უნივერსიტეტის სურათს ვხედავდი, მაგრამ ჯერ გააზრებული არ მქონდა, რა შენობა იყო. პირველად, ათი წლისამ ვიკითხე ამ სურათის შესახებ და მაშინ მითხრეს, რომ ეს ის უნივერსიტეტი იყო, რის გამოც მამას ასეთ პატივს სცემდნენ. ამის შემდეგ, თავისთავად, გაჩნდა უნივერსიტეტისადმი განსაკუთრებული მოწიწება და სიყვარული. გულში ამოვიჭერი, ან აქ ვისწავლიდი, ან არსად! როდესაც უნივერსიტეტში ჩავაბარე, ეს ფაქტობრივად, ღვთიურ ხელდასმად მივიჩნიე. უნივერსიტეტში ჰალსტუხისა და პიჯაკის გარეშე მისვლა თუ შესაძლებელი იყო ვერ წარმომედგინა. ვფიქრობდი, იქ ვინც სწავლობდა, ყველა „შარავანდედით იყო მოსილი“, მაგრამ უკვე უნივერსიტეტში მივხვდი, რომ ეს ასე არ არის.

პირველი კურსი მაინც თავის გამოჩენის წყურვილით ანთებულობის წელიწადია, ყველა მაღალი თამასით მოდის. ეს ეიფორია, რა თქმა უნდა, მეც მქონდა და კარგიც იყო, რადგან ამ ეიფორიის და იდეალების გარეშე თუ მიდიხარ, არაფერი გამოვა. მერე ყველაფერი იწმინდება, ნელ-ნელა შემცირდა კურსზე მოსწავლეთა რიცხვიც და მესამე კურსზე ათნი, მათგანაც გაიცხრილა და რამდენიმეღა დავრჩით. ესენი არიან ჩემი ცნობილი ჯგუფელები: გიორგი კეკელიძე, ზაალ ჩხეიძე, ირაკლი ხვედელიძე, ლევან გელაშვილი. ზაალმა და გიორგიმ აღარ გააგრძელეს სამეცნიერო საქმიანობა, ირაკლიმ, ლევანმა და მე გავაგრძელეთ. ჩემი კურსელია, ასევე, ნათია ფუტკარაძე, რომელმაც შარშან დაიცვა სადოქტორო. ძალიან ცნობილი და წარმატებული კურსელები მყავს. ამაშიც გამიმართლა. უნივერსიტეტში რომ მივედი, დიდად არ ჩამოუვარდებოდი მათ ლიტერატურის ცოდნაში, თუმცა, ბევრი მათგანი მისწრებდა ინგლისური ენის ცოდნაში და დღესაც მისწრებს. სამაგიეროდ, მე მქონდა ჩემი ნიში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ვიცოდი თურქული და აზერბაიჯანული, მათზე კარგად ვიცნობდი ამ სამყაროს.

2002 წლიდან, დავიწყე ლექსების თარგმნა ქართულიდან აზერბაიჯანულ ენაზე, შემდეგ – აზერბაიჯანულიდან ქართულ ენაზე. 2003 წლიდან, გიორგი კეკელიძემ და ზაალ ჩხეიძემ, 93-ე აუდიტორიაში, დაიწყეს პოეზიის საღამოების გამართვა, სწორედ მათ მომცეს შანსი, ჩემი თარგმანები აუდიტორიისთვის წარმედგინა. ეს ძალიან კარგი და სასიამოვნო „ფაფხური“ იყო, შემდეგ ჩამოყალიბდა Lib.ge, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი მეც ვარ. ასევე, გამოსცეს გაზეთი „ლილი“, რომელშიც ჩემი თარგმანები დაიბეჭდა. კლასიკური გაგებით სავსე სტუდენტური ცხოვრებით ვიცხოვრე, გარდა ორი მომენტისა: არც ერთ რევოლუციაში და მიტინგში არ მიმიღია მონაწილეობა და კაფედან კაფეში არ დავდიოდი დროის სატარებლად. აპოლიტიკურად ვიცხოვრე, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო რამდენიმე წელია აღარ ვარ აპოლიტიკური, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ვეკუთვნი, მაქვს ჩემი პოლიტიკური შეხედულებები. 2013 წლიდან ფეხი სამოქალაქო სივრცეში კი შემოვდგი, მაგრამ ჩემს თავს მაინც ვერ ვუწოდებ სამოქალაქო აქტივისტს, რადგან ეს ცხოვრების სხვაგვარ სტილსა და მოქმედებას გულისხმობს.

შეგირდი სამოქალაქო აქტივიზმის სფეროში

მართალია, რაღაც დოზით ვჩანვარ, როგორც სამოქალაქო აქტივისტი, მაგრამ სამოქალაქო აქტიურობა ჯერ კიდევ ჩემი ცხოვრების წარმმართველი ხაზი არ არის. თუმცა, მგონი ყველაფერი იქით მიდის, რომ უფრო გავაქტიურდე, თუკი დისერტაციას არ დავიცავ და არ შევუდგები აკადემიურ ცხოვრებას. მეორე მხრივ, ეს სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ამ სფეროს მოვწყდე. სამოქალაქო აქტივიზმის სფეროში უფრო შეგირდი ვარ, ვიდრე დამოუკიდებელი, გამოკვეთილი სახე. ჯერ კიდევ ვაკვირდები ამ სფეროს და ბევრს ვსწავლობ, რადგან ასე ადვილი არ არის დაიბრალო სამოქალაქო აქტივისტობა და, პარალელურად, ბევრი შეცდომა დაუშვა.

უნივერსიტეტში, როცა ლექტორები სახელს მეკითხებოდნენ, ოქტაი ქაზუმოვი ცოტა განცვიფრებასაც ინვევდა, ზოგიერთი ტაშსაც კი მიკრავდა. ერთი პერიოდი (თუკი ამპარტავნობაში არ ჩამომერთმევა), ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, დარეჯან თვალთავაძემ, როცა დოქტორანტურაში ჩავაბარე, ისიც კი მითხრა, ჩვენი ფაკულტეტის ერთგვარი სახე ხარო. ჩემი სახელით და გვარით და ძველი ქართულით სწრაფად გავითქვი სახელი. მახსოვს კოლოკვიუმი დავწერე „ტრისტანი და იზოლდას“ შესახებ, ლექტორმა, ას კაცში, ცალკე გამოყო ჩემი ნაშრომი და ხუთი წუთი მაქებდა. სამი ხუთიანი დაიწერა, მათ შორის ვიყავი მე. როცა სამაგისტრო ნაშრომს ვიცავდი, სულ ბოლოს გამომიყვანეს, როგორც გემრიელი ლუკმა. ფაქტობრივად, თითქოს სასათბურე პირობებშიც მოვხვდი, მაგრამ დანარჩენი ჩემი თვისტომელი საქართველოს მოქალაქეებისადმი (რომლებიც მოკლებული იყვნენ ქართული ენის სწავლას) ცოტა სხვაგვარი დამოკიდებულება იგრძნობოდა. ჩემდამი სიყვარული მხოლოდ ჩემი პიროვნებიდან გამომდინარეობდა – ჩემმა საქმიანობამ განაპირობა და არა, ზოგადად, აზერბაიჯანელების მიმართ განწყობამ.

ეს მომენტი კიდევ უფრო მძაფრად მაშინ შევიგრძენი, როცა სტუდენტებში ჩაატარეს გამოკითხვა – რას ფიქრობთ აზერბაიჯანელებსა და სომხებზე? სამწუხაროდ, მათ ძალიან ნეგატიური დამოკიდებულება გამოავლინეს. როცა ეკითხებოდნენ – კი მაგრამ, შენს კურსზე და ჯგუფში ხომ სწავლობენ ისინი? პასუხობდნენ, რომ არა, ისინი კარგი პიროვნებე-

ბი არიან, რადგან მათ კარგად იცნობდნენ. წლების ურთიერთობამ ერთგვარი საზღვრები წაშალა და ადამიანები ერთმანეთს პატივს სცემენ, როგორც პიროვნებას და არა როგორც ეთნოსს.

მგონია, რომ პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის, მაგრამ ეს განწყობა ცოტა შეირყა, რადგან მივხვდი, რომ პოლიტიკოსობა სულაც არ გულისხმობს პარტიის ჩამოყალიბებას, პოლიტიკოსია ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანი, რომელსაც აქვს თავისი ხედვა/თეორია და ცდილობს, დაიცვას საკუთარი აზრი. სამწუხაროდ არის უხილავი ჭერი, რომლის იქით არ შეიძლება წახვიდე. მე ვიყავი ადამიანი, რომელიც თავის დროზე არ სწყალობდა არასამთავრობო ორგანიზაციებს. 2011 წელსაც კი მქონდა ლიბერალების მიმართ ცოტა აგდებული და აგრესიული დამოკიდებულება. მაგრამ, როცა მე მომიწია ჩართვა და ჩახედვა მათ საქმიანობაში, მივხვდი, რომ ვცდებოდი. მოგვიანებით, ჩემს თავს დავუსვი კითხვა – რატომ ვუყვარდი საზოგადოებას? იმიტომ, რომ მართლა ვიმსახურებ, თუ იმიტომ, რომ მაამებლურ რამეს ვამბობდი. ეთნიკურ ქართველზე მეტად რომ „ვქართველობ“, ეს ხომ არ იყო „ღამურობის პრინციპი“, ამაზე დავიწყე ფიქრი და განსჯა.

რწმენა – ხიდი უზენაესსა და პიროვნებას შორის

ბავშვობაში რელიგიის გაცნობა ქართულად საღვთო სჯულის წიგნებით დავიწყე – ეს იყო მოსწავლეებისთვის და მოზარდებისთვის პოპულარულ ენაზე დაწერილი, მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ გამოცემული წიგნი. მაშინ (1993-94 წლებში) ჯერ კიდევ არ იყო მუსლიმური ორგანიზაციები ჩამოყალიბებული და მედრესეები გახსნილი. შესაბამისად, მუსლიმური რელიგიური წიგნებიც არ მქონდა არც ქართულ და არც აზერბაიჯანულ ენებზე. შემდგომ, როდესაც 1999 წელს, ჩვენს სოფელში პირველი მედრესე გაიხსნა (უფრო სწორად ეს არ იყო ოფიციალური მედრესე), ნელ-ნელა ყურანის გაცნობა დავიწყე. მამა ცდილობდა, კრიტიკულად შემეხედა ყოველივე ამისთვის. ჩემი ოჯახი შიიტიზმის მიმდევარია. მამაჩემი ცდილობდა, რომ რელიგიაში უფრო მსოფლმხედველობა და ფილოსოფია გამეთავისებინა, ვიდრე გარეგნული მხარეები. ერთგვარი სიფრთხილით ეკიდებოდა და მართალიც იყო.

ყველა მშობელმა, თუკი მისი შვილი რელიგიით ინტერესდება, უნდა აუხსნას, რომ რელიგია გონებისა და სულის თვალის დახშობა კი არ არის, არამედ ღიაობა, ლოიალობა, შიგადაშიგ გაფრთხილება და ემპათია. ასეთმა მიდგომამ მე ისლამის მგმობი – ანტიისლამური ლიტერატურის კითხვაც დამაწყებინა. მაგრამ ვიდრე ასეთი ლიტერატურის კითხვას დავიწყებდი, ვიცოდი თუ როგორ აკნინებდა ვოლტერი ქრისტიანობას, ვიცოდი რუსოს მოსაზრებების შესახებ, წავიკითხე მირზა ფატალი ახუნდოვის „ქემალ უდ-დოულეს წერილები“, სადაც ისლამზე მწვავე აზრებს აყალიბებს. ეს იყო ის, რამაც, რაღაც მომენტებში, დამაფიქრა ისლამზე და დამაბალანსებინა ჩემი ცოდნა და დამოკიდებულება ზოგადად რელიგიებისადმი.

ის, რაც მწამს ან როგორც მწამს, მხოლოდ ჩემსა და უზენაესს შორისაა განსახილველი. თუ მეცნიერების პოზიციიდან შევხედავ, აუცილებლად მკრეხელური აზრებიც უნდა მქონდეს და კითხვები უნდა დავსვა. ირანის ყოფილმა პრეზიდენტმა, მუჰამედ ხათამიმ, თავის დროზე თქვა, რომ ერთ დროს ჰეგემონი მუსლიმური ცივილიზაცია ქრისტიანულს სწორედ იმის გამო ჩამორჩა, რომ ჩვენ კითხვების დასმა შევწყვიტეთო და სადაც კითხვა არ არსებობს, იქ აზროვნებაც წყდებაო. მისი აზრით, მუსლიმურმა სამყარომ დაღმასვლა იმ მიზეზით დაიწყო, რომ კითხვის დასმა აიკრძალა. ფაქტობრივად, ამით თვითლიკვიდაციისკენ მიდიხარ და თავისდაუნებურად აჩენ დოგმებს, აღსრულება მონოტონურად მიდის, რელიგია შენს სულს აღარ კვებავს. ეს რომ არ დამმართნოდა, სწორედ ამიტომაც დავიწყე ინტენსიური კითხვა რელიგიის შესახებ.

ქართული სივრცის მუსლიმურ სამყაროში, შიიტებში ერთადერთი ცერემონიალი, რომელიც მშობლიურ ენაზე აღესრულება „შახსეი ვახსეის“ სახელით ცნობილი მუჰარამობის დეკადაა. ვინაიდან ჩემს სოფელში, თანატოლებშიც და უფროსების დიდ უმრავლესობაშიც, მარტო მე ვიცოდი აზერბაიჯანულად კითხვა, 14 წლის ასაკიდან წმინდანის მოსახსენიებლად შეკრებილი ხალხისთვის წავიკითხე ამონარიდები წიგნიდან „გადმოცემები წინასწარმეტყველისა“. ამის შემდეგ, სოფელში დღემდე მე მიმყავს ეს ცერემონია. ასე შემოვისხი რელიგიური მანტიაც, თუმცა, არა ვარ სასულიერო პირი. ისლამში ცოტა მარტივია ღვთისმსახურება და განსაკუთრებულ ხელდასმას არ საჭიროებს. მაგალითად, ათი კაციდან შეირჩევა ყველაზე უკეთ მცოდნე და სამართლიანი ადამიანი, რომელიც მათ წინაშე ლოცვის დროს დადგება. ამ პერიოდში დავიწყე აზერბაიჯანული ენის განვითარებაც, მაგრამ ჩემი სალიტერატურო აზერბაიჯანული დღემდე ვერ მოვა ჩემს სალიტერატურო ქართულთან.

შემდეგ წავიკითხე გიორგი ლობჟანიძის მიერ ქართულ ენაზე ნათარგმნი „ყურანი“ (მანამდე მხოლოდ აზერბაიჯანულად მქონდა წაკითხული), რომელსაც ძალიან კარგი შესავალი აქვს ისლამის ისტორიას რომ აღწერს. შემდგომში მივხვდი, რომ იმამი ჰუსეინის მოძრაობას (პრინციპში ყველა წმინდანის) ორგვარი დანიშნულება ჰქონდა: პირველი – რელიგიური და მეორე – სამოქალაქო (პოლიტიკური). არც ერთი მოწამე 95 პროცენტით იმისთვის არ უწამებიათ, რომ მას მხოლოდ რელიგიური შეხედულებები ჰქონდა, არამედ აწამეს იმ რელიგიური შეხედულებების გამო, რომელიც იმ პერიოდის პოლიტიკურ კურსს ეწინააღმდეგებოდა. სუფიზმიც ხომ მხოლოდ თეოლოგიური მომენტი არ იყო, ეს ფილოსოფიურ-პოლიტიკური მოძრაობაც გახლდათ. სუფიზმმა ბევრი რამ იმემკვიდრა ბუდიზმისა და ქრისტიანობისაგან, მაგალითად, ეგოს დაძლევისა და სიყვარულის კონცეფცია. ისლამი სამართლიანობის პრინციპზე დგას (თუმცა, სამართლიანობა ზოგჯერ სასტიკიცაა, ამიტომ მას შემოაქვს მიტევების, შეწყალების კონცეფცია), ქრისტიანობამ კი ერთ ტერმინზე დაიყვანა ეს ყველაფერი და ამ ტერმინში გააფართოვა სხვა დანარჩენი – სიყვარულის კონცეფცია. სიყვარული აერთიანებს სამართლიანობასაც, შეწყნარებასაც, მოწყალებასაც და ა.შ.

თუკი შენი შეხედულება არსებულ პოლიტიკურ ვითარებას და კურსს არ ეწინააღმდეგება, არავის აინტერესებ, როგორც კი ეს ყველაფერი სამოქალქო აქტივიზმში გადადის, მაშინვე საინტერესო ხდები. ასე იყო თავის დროზე მუჰამედის შემთხვევაში, როგორც კი მიხვდნენ, რომ ის მხოლოდ ზეციურ გასაღებს არ „ეპოტინებოდა“ და „ამქვეყნიურ სკიპტრასაც მოითხოვდა“, წარმოიშვა „ჯახი“.

დღესაც იგივეა, თუკი შენ გაქვს აზრი, რომელიც კალაპოტშია მოქცეული და არ ეწინააღმდეგება არსებულ სამოქალაქო/პოლიტიკურ ვითარებას, მაშინ შენ წინააღმდეგ არავინ გამოვა, მაგრამ საკმარისია, შენი აზრი დაწესებულ კალაპოტსა და სადინარს ასცდეს, იქ უკვე გაჩნდებიან მოწინააღმდეგეები. სამოქალაქო აქტივიზმისკენ გეზის აღება ამანაც განაპირობა.

ორი ცივილიზაცია

ნებისმიერი კულტურა, როგორი განსხვავებულიც უნდა იყოს ერთმანეთისგან, ჩემთვის ძალიან ძვირფასია, მთავარია, ჰუმანური იყოს. ქრისტიანული კულტურა ჩემთან ბუნებრივად უფრო ახლოს დგას, სხვა დანარჩენ კულტურებთან შედარებით, იმიტომ რომ, ამ სივრცეში გავიზარდე. ძველი აღთქმის კითხვისას ვხვდები, რამდენი რამ აქვს აღებული მისგან „ყურანს“. მუჰამედი ამბობს, რომ მე ახალი კანონები არ შემიქმნია, არამედ შემოვიტანე ზნეობა. მაგალითად, ზნეობა ვაჭრობაში – როცა რაიმეს დეფიციტია შენ ის მამასისხლად არ უნდა გაყიდო, თუ გაყიდი, ცოდვაა. ისლამისთვის ვაჭრობა, ფაქტობრივად, ღვთისმსახურებასავითაა, ოღონდ, მორალზე დაფუძნებული ვაჭრობა.

ისლამი აბალანსებს რაღაცებს ძველსა და ახალ აღთქმას შორის. ასეთი გადმოცემა არსებობს – ერთ ღამეს, წინასწარმეტყველის ცადაყვანებისას, როცა მან მოიხილა სამოთხე და ჯოჯოხეთი, სამოთხეში შესთავაზეს სამი სასმელი: ღვინო, რძე და თაფლი. მათ შორის რძე აირჩია. ამბობენ, რომ ეს სიმბოლურად მიანიშნებს, რომ ქრიატიანობის ღვინოსა და ძველი აღთქმის თაფლს შორის ირჩევს რძეს, როგორც სინთეზსს – რძე თაფლივით ტკბილია და ღვინოსავით სასმელი.

ისლამი არ გმობს იმას, რომ გამდიდრდე, მაგრამ გმობს გაზულუქებას და მხოლოდ სათავისო ჯაფას. ისლამში ქველმოქმედების გარდა, ყოველი მორწმუნისთვის სავალდებულო გადასახადიც არსებობს, მათგან ერთ-ერთს „ხუმსს“ ეძახიან. ყოველწლიურად, შენი შემოსავლებიდან, ხუთიდან ერთი უნდა გაიღო, ეს ბეით ულ მალი, ანუ საზოგადოებრივი ქონებაა.

ეს ორი კულტურა ერთმანეთს ავსებს. მივხვდი, რომ ევროპა უცხო არ იყო ჩვენთვის, რადგან ევროპას ბევრი რამ აქვს წაღებული ისლამისგან, ფაქტობრივად, ვეღარ გამოაცალკევებ. ანტიკური სამყარო ევროპაში არაბული კომენტარების გავლით შევიდა, თავის დროზე, ლათინურად თარგმნიდნენ იბნ სინას, ალ ფარაბის, იბნ რუშდისა თუ სხვებს – იბნ რუშდი ავეროესად წარმოთქვეს, იბნ სინა ავიცენად... ამან ვროპას ახალი სააზროვნო მუხტი მისცა. სამწუხაროა, რომ ევროპელების შექმნილი ან შემდგომ გაუმჯობესებული მოსაზრება უკან აღარ დაბრუნდა აღმოსავლეთში. აღმოსავლეთიც აღარ დაინტერესდა ამით და საკუთარიც ჩაკლა, სამწუხაროა, რომ ევროპაში როგორც განავითარეს ეს ყველაფერი, ვეღარც ის აითვისა აღმოსავლეთმა თავის დროზე. ჩემთვის ისლამი და ქრისტიანობა, წმინდა რელიგიური და კულტურული თვალსაზრისითაც, ძალიან შემჭიდროებული და ურთიერთმოთანამშრომლეა.

ბიბლიური ამბების პოსტმოდერნისტული გააზრება

ჩინგიზ აიტმატოვი, ნაჯიბ მაჰფუზი, მიხაილ ბულგაკოვი, ჟოზე სარამაგუ, ნიკოს კაზანძაკისი – მათ დაიწყეს რელიგიური ხდომილებების, ბიბლიური იგავების პოსტმოდერნისტული გააზრება და გაახლება. რატომ? იმიტომ რომ თანამედროვე სამყარო, ფაქტობრივად, აღარ კითხულობს ჰაგიოგრაფიულ ტექსტებს, არც წმინდა წიგნებს, დასცილდა მათ. ჩვენ ახლა ცხოვრებაში უფრო პირობითად ვართ მუსლიმები და ქრისტიანები. ჩვენი წარმოდგენები უფრო გაკულტებაა ამ სიწმინდეებისა, რაც წარმართობასთან გვაბრუნებს ანუ ჩვენი წარმოდგენა ხსენებულ მოცემულობებზე უფრო აღმატებულია „ყურანსა“ და „ბიბლიაზე“, უფრო მეტად წარმოდგენებით მცხოვრები მორწმუნეები ვართ, ვინემ ჭეშმარიტი პრაქტიკოსები, რასაც წინასწარმეტყველები გვიქადაგებენ.

მივაგენი ხაზს, რომელსაც ლიტერატურაში თამაშ-თამაშით შემოაქვს რელიგიური ნარატივები. ხელახლა გაიღვიძა რელიგიამ და მივხვდი, რომ ეს არის მოუცილებელი მომენტი ადამიანის დვრიტაში, ოღონდ, რა თქმა უნდა, გაფაქიზებული სახით. თითოეულმა რელიგიამ მაშინ წააგო, როცა ინსტიტუციონალური სახე შეიძინა, უბრალოდ, ისიც სათქმელია, რომ ამას ვერსად გაექცეოდა. როდესაც იერარქიად ჩამოყალიბდა, იქ უკვე გაჩნდა ძალმომრეობა. მაგალითად, ისლამის პირველ წლებში, როცა მუჰამედი გაიქცა მედინაში, შეიქმნა პირველი კონსტიტუცია, სადაც არამუსლიმ მოქალაქეებს თავიანთი უფლებები ჰქონდათ. სამწუხაროდ, იმ კონსტიტუციამ, რომელსაც მაშინდელ მსოფლიოში ანალოგი არ ჰქონდა და პირველია (მერე შექმნეს ინგლისელებმა), რამდენიმე წელი იარსება. ისლამი, ჩამოყალიბების პროცესში, ძალიან მიმზიდველი იყო, მაგრამ როგორც კი ოფიციალურ დოქტრინად და წარმმართველ ძალად გამოცხადდა, ლიბერალური განწყობილებები საგრძნობლად შეუსუსტდა და ეს ყველა რელიგიისთვისაა ნიშნეული.

რატომ ვაჟა?

რაც შეეხება ვაჟას, „სტუმარ-მასპინძელი“ და „ალუდა ქეთელაური“ აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა იმირ მამედლიმ. ეს წიგნი სახლში წავიღე და მე და მამამ ერთად წავიკითხეთ, ძალიან მოგვეწონა. იმავე პერიოდში ვკითხულობდი „გოგოთურ და აფშინას“, რომელიც ბავშვობიდან ძალიან მომწონდა. მახსოვს პირველი შთაბეჭდილება, როცა მამამ ეს პოემა ხმამაღლა წამიკითხა. ვმხირულობდი გოგოთურისა და აფშინას პაექრობაზე – „იარაღნ მამცენ ფშაველო. – რად გი არ იცი ხმარება“. თან პარალელებს ვავლებდი ქოროღლისთან. დალი ჰასანი დიდგულზეა, რომ ცხენი წაართვას ქოროღლის. ქოროღლიმ ის დაამარცხა, რამაც დალი ჰასანის ფერისცვალება გამოიწვია – ის ქოროღლის მარჯვენა ხელად გარდაიქცა და მათ ერთად ჩამოაყალიბეს სივრცე, სადაც ვაჟკაცები იკრიბებოდნენ და იმ პერიოდის სულთანს ებრძოდნენ. ვაჟასთანაც აფშინას ფერისცვალება ხდება – ოღონდ ის ხევისბერობამდე აღწევს. ვიფიქრე, ვინაიდან ვაჟას პოემებიდან ჩემი უსაყვარლესი პოემები, განსაკუთრებით „ალუდა ქეთელაური“, ნათარგმნი იყო, ვთარგმნიდი „გოგოთურ და აფშინას“. 2012 წელს გამომცემლობა „დიოგენემ“ ჩემ მიერ ნათარგმნი პოემა ორენოვნად გამოსცა.

რატომ ვაჟა? თუნდაც ის კონცეფცია/დაეჭვება – „ჩვენ ვიტყვნით კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი. ჩვენა ვცხონდებით, ურჯულოთ კუპრში მიელით ქშენანი“ – არის პიროვნული ფერისცვალება, ფერისცვალება ჯოყოლასი, ალუდა ქეთელაურის, აფშინასი. ძალიან ძლიერი მომენტებია, როდესაც მანამდე არსებულ ცხოვრებას ეჭვქვეშ აყენებ, ფაქტობრივად, გასხივოსნების მომენტი გიჩნდება. იცი, რომ ძველებურად ვეღარ იცხოვრებ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ამის გამო დაიღუპო კიდეც, მაგრამ „აქა დგახარ და სხვაგვარად არ ძალგიძს“, რადგან იმ დონეს მიაღწიე, რომ უკან ვეღარ დაიხევ. ასეთი მომენტები ყველა დიდი პიროვნების ცხოვრებაშია. მაგალითად, პეტრე, რომელმაც სამჯერ უარყო ქრისტე, მაგრამ როცა ამას იაზრებს, ის მაშინ იბადება, არაფერი აშინებს, რადგან შინაგანად თავისუფლდება. ვაჟას შემოქმედებაში ასეთი ამაღლებული მომენტები უხვადაა. მის შემოქმედებაში სასტიკ რეალობას უპირისპირდებიან გმირები, რომლებმაც კარგად იციან, რომ დეჰუმანიზებული თემი მათსავით ვერ მოიქცევა. ალუდამ იცის, რომ თემი მასავით ვერ იცხოვრებს და მხარს არ დაუჭერს. ვფიქრობ, ის ამით ერთგვარ პროვოკაციაზეც კი წავიდა, სურვილი გაუჩნდა, თემს მოეკვეთა, რადგან ძველი წესებით ვეღარ იცხოვრებდა. ესიზმრება, ადამიანის ხორცს ჭამს, უკვე ყველაფერი ყელში ამოუვიდა.

ლიტერატურული კონცეფცია – ორი სახელი

მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ორი სახელია ჩემთვის ძალიან ძვირფასი – მიხეილ ჯავახიშვილი და ოთარ ჩხეიძე. სხვა მწერლების შემოქმედებაშიც გვაქვს მწვერვალები, მაგალითად რომანებში, მაგრამ ამ ორ მწერალს ჰქონდა თავისი კონცეფცია და, ფაქტობრივად, თავიანთ ნაწარმოებებში ამას იმეორებენ. მაგალითად, ოთარ ჩხეიძის რომანის პერსონაჟები – შვილები და შვილიშვილები ერთმანეთში გადადიან, რომელმაც, ფაქტობრივად, მეოცე საუკუნის ქართული ყოფის მატიანე შექმნა, „ბორიაყით“ დაწყებული და „2001 წლით“ დამთავრებული. მეგონა, ძველი ქართულის შემდეგ, ვერაფერი განმაცვიფრებდა, მაგრამ ოთარ ჩხეიძის ენამ ნამდვილად განმაცვიფრა. თავიდან რთულად შედიხარ, მაგრამ შემდეგ ისეთ რიტმში გადაჰყავხარ, რომ შეუძლებელია მისი გავლენის ქვეშ არ მოექცე, ძალიან ბევრი ფრაზა და სიტყვა ავიღე მისგან. მიხელ ჯავახიშვილთანაც ასეა, ის სიტყვის დიდოსტატია. სხვებს თუ ერთი ან ორი რომანი გამოუვიდათ, ამ ორი მწერლის შემოქმედების 90 პროცენტი შედევრია. მიხეილ ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშა“ შედევრია, აბა, რა არის – მსოფლიო ლიტერატურის შედევრია, ან „ჯაყოს ხიზნები“. ჯავახიშვილი მსოფლიო მასშტაბის მწერალია. ახლა ვცდილობ, ვთარგმნო „გველისმჭამელი“, დაინტერესებული ვარ აზერბაიჯანული კლასიკური პოეზიის ქართულ ენაზე თარგმნით, თუმცა, ბოლო დროის გატაცება გალაკტიონია.

ქართული საგალობელი

ვინაიდან ბავშვობიდან ჩემს სულთან ძალიან ახლოსაა „მარსიები“ და ათდღიანი გლოვა, უნივერსიტეტში, საგალობლების შესწავლისას, აღმოვაჩინე, რომ საგალობლებშიც არის გლოვის განწყობების შემცველი ჰიმნები. მაგალითად, ქრისტეს ჯვარცმის და ვნების კვირეულის, წმინდა მარიამის მიერ ქრისტეს დატირების მომენტი. ეს ძალიან ჰგავს მარსიებს. ლელა მახაურს, 2015 წელს, დისერტაცია აქვს დაცული – „არაბული მარსიები და მათი კავკასიური პარალელები“, სადაც ის ქართულ და ჩეჩნურ ფოლკლორს – ნატირლებს ადარებს მარსიებს. ვიფიქრე, თუკი ფოლკლორში შეიძლება ეს პარალელები, მოდი, რელიგიურ მარსიებზე გადავიტან-მეთქი, არა საერო პირების, არამედ რელიგიური წმინდანების მარსიებზე. შესაბამისად, ჩემს თემაში პარალელებს ვავლებ ქრისტეს ჯვარცმისადმი და ვნების კვირისადმი მიძღვნილ საგალობლებსა და მარსიებს შორის.

საგალობლები უფრო ფართო სპექტრია – არსებობს ისეთი საგალობლები, რომელიც ხოტბასა და საზეიმო განწყობას მოიცავს, მაგრამ მარსიები ამ ზეიმს მოკლებულია, რადგან თავისსავე არსში ის მხლოდ გლოვის ლექსია. საგალობელი კი მხოლოდ გლოვის შემცველი ფენომენი არ გახლავთ. მე ვადარებ მარსიებს საგალობლის ერთ ვიწრო ჟანრს, ანუ ეს არის კომპარატივისტიკული კვლევა და არ ისახავს მიზნად ისეთი დასკვნის გაკეთებას, რომ ერთი წარმოიშვა მეორისაგან. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ ორივე სამყაროში შეიქმნა ისეთი ფენომენი, რომელმაც შემდეგ ლიტერატურაში ჰპოვა განვითარება.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ტარიელ ხარხელაურის სტუმრობა არაქართველ ბავშვებთან

როგორ დავიწყო, არ ვიცი! თანმიმდევრობით თუ მივყვები, მაშინ იმ შემაჯამებელი გაკვეთილიდან უნდა დავიწყო, შარშან, ქართულში, მე-11 კლასში, სომეხ ბავშვებთან ტარიელ ხარხელაურის ლექსებით რომ ჩავატარე. მაშინ დავპირდი მათ, რომ პოეტს შევახვედრებდი. მერე ეტალონის დასკვნით ღონისძიებაზე ჩვენს რიგში იჯდა და ბავშვებს ვუთხარი, ეს ის პოეტია, შემაჯამებელზე ლექსები რომ წაიკითხეთ-მეთქი. ბავშვები თვალებანთებულნი უყურებდნენ...

მთელი ზაფხული, სხვა საფიქრალთან ერთად, არ მომშორებია ფიქრი პოეტის მოწვევაზე. დეკემბერში შევეხმიანე ჩემს კოლეგა-კონსულტანტ მასწავლებლებს – ოფრეთში **თინა ბაწაშვილს** და ახკერპში **ნარიმან მელიქიძეს**. ჩანაფიქრი გავანდე და თანხმობა მივიღე. შემდეგ მარნეულის კულტურის ცენტრს გავანდე სურვილი. ყველანაირად მხარში დაგიდგებითო. ახლა პოეტს უნდა შევხმიანებოდი! ამ დროს, მარნეულის საჯარო ბიბლიოთეკამაც გამოაცხადა პროექტი „თანამედროვე მწერლები“, გაჩერება არ შეიძლებოდა! გავიწყვიტე მორიდების ძარღვი და ქალბატონ მარინას მივწერე. საქმე წინ მიიწევდა. ლექსები დავანაწილე და ნამდვილად არ მიფიქრია, თუ ჩვენი არაქართველი ბავშვები ასე დაინტერესდებოდნენ! ყოველდღე იმატებდა მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა. უარის თქმა არ შეიძლებოდა, რადგან ისეთი ბავშვები ითხოვდნენ ლექსებს, ქართულად რომ ვერ ლაპარაკობენ!

არაჩვეულებრივი მოსწავლეები რომ მყავს, ხომ იცით, მაგრამ სხვასაც რომ ჰყოლია, ისიც უნდა გითხრათ! ახკერპელი ბიჭები აღმოჩენა იყო, ნამდვილად! ნარიმან მელიქიძე ნოემბრის შუა რიცხვებიდან ასწავლის ახკერპის სკოლაში. უკვე რამდენიმე სასკოლო აქტივობა განახორციელა და დღევანდელ ღონისძიებაშიც სამი მოსწავლით წარდგა. ბიჭებმა არაჩვეულებრივად წაიკითხეს ლექსები.

თინამ და მისმა კრეატიულმა მოსწავლეებმა ნამდვილად გამაოცეს, როცა პოეტის ლექსები წიგნადაკინძული გადმოგვცეს. *„სად არ ვეძებეთ კრებული, ვერსად აღმოვაჩინეთ. არადა, დაპირებული ვიყავი ბავშვებს. რომ ვერ ჩამოვუტანე, ქრისტინამ შემომთავაზა, ჩვენ თვითონ დაგვებეჭდა,“* – მითხრა თინამ.

საღამოს საკრებულოს, მერიის, კულტურის ცენტრის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის, სხვადასხვა სკოლების პედაგოგები ესწრებოდნენ. შეხვედრა ჩემმა შარშანდელმა კურსდამთავრებულმა, **სონა მიკოიანმა** რევაზ ლაღიძის სიმღერით „ჩემი საქართველო აქ არის“ გახსნა, რომელიც შარშან მოვამზადეთ ერთ-ერთი ღონისძიებისთვის. სტუმრებს ბიბლიოთეკის დირექტორი **ლანა ხეხელაშვილი** მიესალმა. კულტცენტრის ორგანიზატორმა, მსახიობმა **ზურა ხაფთანმა** და მისმა მეგობრებმა მუსიკალური კომპოზიცია წარმოადგინეს ტარიელ ხარხელაურის ლექსზე.

ლუსინეს წაკითხულმა ლექსმა „მოხვედი ჩემთან გაზაფხულო“ პოეტის აღტაცება გამოიწვია: *„არავისგან ასეთი გრძნობით წაკითხული, რა გრძნობაც ჩავდე, არ გამიგონია, არ მომისმენია! ამ გოგონამ კი სწორედ ჩემი გრძნობები გადმოსცა!“* – ბრძანა პოეტმა და ლუსინეს გადაეხვია.

უთბილესი ატმოსფერო და საღამო შედგა!

მადლობას ვუცხადებ ჩემს კოლეგებს, მოსწავლეებს, მარნეულს, იმისათვის, რომ აქ ყველაზე ტოლერანტული საზოგადოებაა და ეს იგრძნობა ყოველ ფეხის ნაბიჯზე! მადლობა ბატონ ტარიელს მობრძანებისთვის!

ᲚᲐᲚᲘ ᲛᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

რას ირჩევენ ბავშვები – თანაგრძნობას თუ კბილი კბილის წილ

სკოლას უდიდესი როლი აკისრია ადამიანის აღზრდაში. სწორედ სკოლამ უნდა ჩამოუყალიბოს მოზარდს ის უნარ-ჩვევები, შეხედულებები და დამოკიდებულებები, რომლებიც მას საზოგადოების სრულუფლებიან წევრად გახდის. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი თვისებაა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, კერძოდ, ემპათია (ჰუმანიზმი, თანაგრძნობა, მიმტევებლობა...).

ემპათია არის სხვა ადამიანთა აზრების, შეხედულებებისა და გრძნობების გასაგებად თუ გასაზიარებლად, მათი პერსპექტივიდან სამყაროს აღქმის საჭირო უნარი. ემპათია მოიცავს საკუთარი ფსიქოლოგიური ჩარჩოდან გამოსვლის (ე.ი. საკუთარი ხედვის საზღვრების მიღმა გასვლას) და, წარმოსახვით, სხვა პიროვნების ფსიქოლოგიურ ჩარჩოში მოქცევის უნარს. განასხვავებენ რამდენიმე ტიპის ემპათიას, მათ შორისაა **თანაგრძნობა**, რომელსაც ზოგჯერ ემპათიკურ დამოკიდებულებას უწოდებენ – სხვა ადამიანების მიმართ თანაგრძნობის გამოხატვის უნარი, მათი კოგნიტური, ემოციური, მატერიალური მდგომარეობის ან სხვა გარემოებების გამო.

ბავშვები საკმაოდ ადრეულ ასაკში ამჟღავნებენ სხვის ემოციებზე ადეკვატური რეაგირების უნარს. 6-7 წლის ბავშვს შეუძლია, გააზრებულად დააყენოს საკუთარი თავი სხვის ადგილას და დაფიქრდეს იმაზე, როგორი მოქმედება იქნება უფრო შესაფერისი კონკრეტული სიტუაციისთვის. იმის გაგებას, როგორ გრძნობენ თავს ადამიანთა განსაზღვრული სოციალური ჯგუფები, მოზარდი უკვე გარდამავალი ასაკიდან იწყებს; ხშირ შემთხვევაში, თუ მოზარდის ამ მიმართულებით აღზრდა სწორი მიმართულების ჩარჩოდან ამოვარდა, ბავშვი შეუბრალებელი ხდება; როდესაც ბავშვისგან მოდის: დაცინვა, დაჩაგვრა, შეურაცხყოფა და შემდეგ ის თავად ჩავარდება დაჩაგრულის პოზიციაში, ცდილობს სამაგიეროს გადახდას; ამ შემთხვევაში, დიდია მასწავლებლის როლი, როგორ დაგეგმავს სხვადასხვა აქტივობებს, გაკვეთილი იქნება ეს თუ კლასსაათი, მოსწავლეებს ჩართავს დისკუსიაში, რომ გამოიტანონ სწორი დასკვნები: გამოხატონ თანგრძნობა თუ სამაგიერო გადაუხადონ ერთმანეთს.

სწორედ ამ მიზნით დავგეგმე გაკვეთილი მესამე კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში, თემად იაკობ გოგებაშვილის „კეთილი ამხანაგები“ შევარჩიე. **გაკვეთილის მიზანი იყო: მოსწავლეებში ჰუმანიზმისა და მიმტევებლობის გრძნობის გაღვივება; თანგრძნობის გამოხატვა; პერსონაჟის დახასიათება.**

გაკვეთილის თემის მიზნებისა და აქტივობების გაცნობის შემდეგ, წინარე ცოდნის გასააქტიურებლად, გამოვიყენე T-სქემა: კეთილი-ბოროტი. პასუხებით გავარკვიე, როგორ ესმით მოსწავლეებს ამ სიტყვების მნიშვნელობა. შემდეგ დავუსვი კითხვა – როგორ ფიქრობთ, ადამიანისათვის გარეგნობა უფრო მნიშვნელოვანია თუ ხასიათი? გაიმართა მსჯელობა, მოსწავლეებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები:

– მნიშვნელოვანია გარეგნობა, რადგანაც ლამაზი ადამიანი კეთილია;

– მნიშვნელოვანია ხასიათი, შეიძლება ლამაზი იყოს ადამიანი, მაგრამ ბოროტი.

ახალი ლექსიკური ერთეულის – „ამპარტავნობდა“ ახსნის შემდეგ, მოსწავლეებმა შეავსეს „სიტყვის ვერბალური და ვიზუალური ასოციაციების სქემა“, რომელიც მოითხოვდა: ახლად შესწავლილი სიტყვის ჩაწერას; შესაბამისი გამოსახულების დახატვას; მის განმარტებას საკუთარი სიტყვებით; შესატყვისი მაგალითის, ასოციაციის დაწერას.

მოსწავლეებმა ნახეს ფილმი თანაგრძნობაზე – „საჩუქარი“ (https://www.youtube.com/watch?v=qUreIhsDxQ4) და გამართეს დისკუსია ფილმში გადმოცემულ ამბავზე; სათაურზე, ილუსტრაციაზე და საკვანძო სიტყვებზე დაყრდნობით, მოსწავლეებმა გამოთქვეს ზეპირი ვარაუდები თხზულების შესაძლო შინაარსის შესახებ. ტექსტის წაკითხვის შემდეგ, ზეპირად გადამოწმდა გამოთქმული ვარაუდები და გაიმართა დისკუსია ტექსტის ირგვლივ.

მოსწავლეებმა ფაქტზე ორიენტირებულ კითხვებს უპასუხეს:

– სად სწავლობდა ნინო?

– ვის იგდებდა ნინო აბუჩად? რა მოხდა ერთხელ? რა დაემართა ნინოს?

– რის ეშინოდა ნინოს? რა მოხდა სკოლაში?

აქვე გავაანალიზეთ ტექსტი მეორე დონის (შეფასებაზე ორიენტირებული) კითხვებით:

– როგორი იყო ნინო ხასიათით, გარეგნობით?

– როგორი ამხანაგები ჰყოლია ნინოს?

– განსაკუთრებით ვისი საქციელი მოგეწონათ?

– როდის მიხვდა ნინო თავის შეცდომას?

– როგორ ფიქრობთ, რატომ უთანაგრძნეს ნინოს მეგობრებმა?

– მოთხრობა ასე მთავრდება: „ნინოს თვალებიდან შვების ცრემლები წასკდა“. როგორ ფიქრობთ, როგორი გახდებოდა ნინო?

– ბოლოს როგორი დასკვნის გაკეთება შეგვიძლია, რა უფრო მნიშვნელოვანია ადამიანისათვის?

მათი პასუხები იყო:

– ადამიანისათვის მნიშვნელოვანია ხასიათი და არა გარეგნობა;

– ბოროტებაზე ბოროტებით არ უნდა ვუპასუხოთ და სამაგიერო კი არ უნდა გადავუხადოთ, არამედ თანავუგრძნოთ.

ფილმში გადმოცემული ამბავი თხზულებას შეადარეს. აქვე გაიხსენეს მოთხრობა „კოჭლი კაცი“. ბავშვები დასცინიან კოჭლ კაცს, მაგრამ როდესაც გაიგებენ, რომ ის ცეცხლმოკიდებული სახლიდან გოგონას გამოყვანისას დაკოჭლდა, შერცხვებათ.

მოსწავლეები ავსებენ სქემას, რომელიც მოითხოვს: პერსონაჟის სახელის ჩაწერას, აგრეთვე აღწერას, როგორია პერსონაჟი თხზულების დასაწყისში, ბოლოს, როგორ და რატომ შეიცვალა? აკეთებენ დასკვნებს.

გაკვეთილის შეჯამება/მოსწავლეების შეფასება.

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ მოსწავლეები ირჩევენ თანაგრძნობას და არა სამაგიეროს გადახდას. თუ ვხედავთ, რომ ბავშვი ამჟღავნებს თანაგრძნობას, თანაგანცდას, სიბრალულს ვინმეს მიმართ, ის აუცილებლად შევაქოთ და მოვიწონოთ მისი საქციელი, რათა მომავალშიც გაუჩნდეს ასე მოქცევის სურვილი.

ბავშვებთან ურთიერთობის და მათთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ბავშვები ყოველთვის გამოირჩევიან ემპათიურობის ისეთი საოცარი უნარით, რომ, ცალკეულ შემთხვევებში, ჩვენ, უფროსებს, უფრო მეტის სწავლა შეგვიძლია მათგან, ამ მიმართულებით, ვიდრე მათ – ჩვენგან.

ᲛᲖᲘᲐ ᲡᲐᲚᲐᲫᲔ

მინდია აბაშიძის სახელობის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების წამყვანი მასწავლებელი

სწავლების მეთოდები

თანამშრომლობითი სწავლების მიდგომები და მისი ეფექტურობა თანამედროვე სწავლებაში

საკვანძო სიტყვები: სწავლა-სწავლება, თანამშრომლობითი სწავლება, ჯიგსოუს მეთოდი, მასწავლებელი, მოსწავლე.
KEY WORDS: Learning, Teaching, Collaborative Learning, Jigsaw Method, Teacher, Student

Resume

The article discusses the advantages of collaborative approaches in the study and teaching process, compared to independent learning.
The article discusses the jigsaw method of one lesson as one of the best methods of collaborative learning

სწავლა-სწავლება უმნიშვნელოვანესი პროცესია. სტატიის მიზანია თანამშრომლობითი სწავლების მიდგომებისა და მისი ეფექტურობის განსაზღვრა თანამედროვე სწავლებაში.

თანამედროვე მასწავლებლის ერთ-ერთი მიზანი მოზარდებში დემოკრატიული ცნობიერების შესწავლა და იმ გზების ძიებაა, რომლებიც უფრო ეფექტურს გახდის სასწავლო პროცესს და აამაღლებს მოსწავლეებში დემოკრატიული უნარ-ჩვევების განვითარებას. ეს შესაძლებელია თანამშრომლობითი სწავლების გამოყენებით. მასწავლებლები განმსაზღვრელ როლს თამაშობენ იმ გარემოს ჩამოყალიბებაში, სადაც შესაძლებელია თითოეული მოსწავლის უნარების რეალიზება, რის გამოც ბავშვები თავს ბედნიერად გრძნობენ.

თანამშრომლობითი სწავლება ისეთი სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია, არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თუმცა, ჩემი აზრით, ჯგუფურ მუშაობას ხარვეზიც აქვს, კერძოდ, ჯგუფის ზოგიერთი წევრი შეიძლება თანაგუნდელის იმედზე იყოს და სათანადოდ არ იმუშაოს ჯგუფში.

სწავლების პროცესში პედაგოგს სხვადასხვა მეთოდის გამოყენება უხდება. ხშირ შემთხვევაში, ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას.

გაგიზიარებთ ჩემს გამოცდილებას, ჯიგსოუს ტექნიკის გამოყენებით, როგორ ვუწყობ ხელს მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარის განვითარებას.

გაკვეთილის თემა: მრავალფეროვნება და მულტიკულტურალიზმი.

აქტივობის აღწერა:

კლასი იყოფა ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი არის „ძირითადი გუფი". ჯგუფის თითოეულ წევრს ეძლევა პატარა ფერადი (სხვადასხვა ფერის) ფურცელი (შესაძლებელია, ფერადი არ იყოს, მაგრამ ფურცლებს ეწეროს ნომრები). ჯგუფებს ურიგდება ტექსტი: „მრავალფეროვნება და მულტიკულტურალიზმი" საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ხალხის (ქართველების, აზერბაიჯანელების, სომხების, ქისტების, ქურთების, ოსების და სხვ.) ყოფა-ცხოვრებისა და ტრადიციების შესახებ. თითოეული ჯგუფის წევრი იმახსოვრებს თავის ჯგუფს (ძირითადი ჯგუფის ნევრები ვალდებულნი არიან, ექსპერტთა ჯგუფში მუშაობის შემდეგ, დააჯგუფონ ინფორმაცია და ძირითად ჯგუფში მიიტანონ).

შემდეგ, გაურკვეველი საკითხების გასარკვევად, იქმნება „ექსპერტთა ჯგუფები". განაწილება ხდება პატარა ფურცლის ფერების ან ნომრების მიხედვით:

I ჯგუფი (ყვითელი) – ტრადიციები;
II ჯგუფი (წითელი) – საკვები;
III ჯგუფი (მწვანე) – ფოლკლორი და გართობა;
IV ჯგუფი (ნარინჯისფერი) – ეროვნული სამოსი.

თუ მოსწავლეები ფერადი ფურცლების მიხედვით არ დაჯგუფდებიან, შეუძლიათ, ციფრების მიხედვით დაჯგუფდნენ, მაგ.: ყოველი პირველი – ერთად, ყოველი მეორე – ერთად და ა.შ.

მაგიდასთან თავმოყრილი „ექსპერტები" ამუშავებენ ინფორმაციას და მსჯელობენ, როგორ გადასცენ უკეთ მათ მიერ მოპოვებული ცოდნა ძირითადი ჯგუფის სხვა წევრებს. შემდეგ მოსწავლეები უბრუნდებიან „ძირითად ჯგუფს", სადაც „ექსპერტები" ამთლიანებენ თემას, მაგ.: ინფორმაციას ქართველების შესახებ (ტრადიციები, საკვები, ფოლკლორი, ეროვნული სამოსი).

დასკვნით ფაზაში განიხილება ჩატარებული სამუშაოს შედეგი: რა გამოვიდა კარგად და რა ვერ გამოვიდა.

იმის გასარკვევად, ეხმარება თუ არა მოსწავლეებს თანამშრომლობითი სწავლება, ჩავატარე შერეული ტიპის კვლევა. მათ უპასუხეს ჩემ მიერ დასმულ კითხვებს:

1. რატომ მოგწონთ ჯგუფური მუშაობა?
2. რა თვისებებს გივითარებთ ჯგუფური მუშაობა? შეგიძლიათ შემოხაზოთ რამდენიმე:

ა) დასახულ მიზანს ვაღწევ მარტივად;
ბ) ვთანამშრომლობ;
გ) ვუზიარებ აზრს;
დ) მიადვილდება მიზნის მიღწევა.

3. რა უნარს გივითარებთ ჯგუფური მუშაობა?
4. როგორ ფიქრობთ, ხშირად უნდა იყენებდეს თუ არა მასწავლებელი თანამშრომლობით სწავლებას (მაგ.: სეგმენტურ მეთოდს და ჯიგსოუს ტექნიკას)?
5. რაში დაგეხმარათ ჯგუფური მუშაობის დროს მიღებული გამოცდილება?

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსწავლეების 91%-ს მოსწონს ჯგუფური მუშაობა. აზრის გაზიარებით, მსჯელობით, თანამშრომლობით მიზანს უფრო ადვილად აღწევენ; უვითარდებათ სოციალური და აკადემიური უნარები. მიაჩნიათ, რომ მასწავლებელი ხშირად უნდა იყენებდეს ამგვარ მეთოდებს და ცდილობდეს, სწავლა-სწავლება უფრო საინტერესო გახადოს.

ჩემი პედაგოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე, ინდივიდუალური სწავლებისგან განსხვავებით, თანამშრომლობითი სწავლების უმთავრესი შედეგი და უპირატესობაა:

- მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას, აფასებენ ერთმანეთის იდეებს და ერთვებიან საერთო, გუნდურ მუშაობაში;
- იმის გამო, რომ ჯგუფურად მუშაობენ, ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებელნი არიან;
- ყალიბდება დადებითი ურთიერთობა მოსწავლეებს შორის;
- თანამშრომლობითი, ინტერაქტიული აქტივობები იწვევს ყველა შესაძლებლობის მქონე მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში და სწავლა-სწავლება უფრო სახალისო ხდება.

ეკა კობიაშვილი
სსიპ ქ.თელავის №6 საჯარო სკოლის ისტორია-სამოქალაქო განათლების მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:
1. თეო ნეფარიძე, „თანამშრომლობითი სწავლა-სწავლება", ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი", 31 მაისი, 2013;
2. სოფო ლობჟანიძე, „თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები". ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი", 8 იანვარი, 2015;
3. სოფო ლობჟანიძე, მეთოდი – ჯიგსოუს ტექნიკა, ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი", 26 ოქტომბერი, 2012.

ინფორმაცია

პროექტი დედაენის დღეს მიეძღვნა

14 აპრილს, აფხაზეთის მოსწავლე ახალგაზრდობა და სტუდენტები, ტრადიციულად, დედაენის ძეგლთან შეიკრიბნენ, სადაც მოეწყო აფხაზეთიდან დევნილი შემოქმედებითი მოზარდების ნახატების გამოფენა ეგიდით – „ენა, მამული, სარწმუნოება".

შეკრებილებს დედაენის დღე მიულოცეს მოწვეულმა სტუმრებმა: საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, **თემურ ჩალაბაშვილმა**, პოეტებმა – **ტარიელ მუმლაძემ** და **ბაღათურ არაბულმა**, აფხაზეთის განათლების და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა, **დოდო შონიამ** და **იზონერა ბერაიამ**, აფხაზეთის ომის მონაწილე ქალბატონმა, **ნ. კაჭარავამ**, აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის დირექტორმა, **სვეტლანა რურუამ** და სხვ.

ლექსები სამშობლოზე, დედაენაზე, მამულისათვის თავდადებულ გმირებზე წაიკითხეს აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის „ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარება" წევრებმა: **ელენე კოპალიანმა, საბა ანთაძემ, ლიკა კოპალიანმა, ქრისტინე ხარჩილავამ, ელისაბედ ხარჩილავამ, დათო ჭაჭუამ** და სხვებმა.

პროექტის მონაწილეებმა პატივი მიაგეს და მოწიწებით გაიხსენეს დიდი ქართველები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე თავდადებით ემსახურებოდნენ და იცავდნენ ენას ჩვენსას, ვინც დღემდე მოგვიტანა ქართული ენის დიდება.

ვოვა ვეკუას სახელობის აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის აღსაზრდელებმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია „ო ენავ ჩემო" და ფიცი დადეს, რომ მომავალი თაობა, წინაპართა მსგავსად, კვლავაც დადგება მამულის, ენის და სარწმუნოების სადარაჯოზე. ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთის საჯარო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეთა მშობლები.

პროექტი „ენა დედაა ერისა" განხორციელდა აფხაზეთის ა/რ განათლების და კულტურის სამინისტროს სახელოვნებო განათლების და აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის „ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარება" ორგანიზებით. პროექტში მონაწილეობა მიიღო 50-ზე მეტმა აფხაზეთიდან დევნილმა ბენეფიციარმა.

ნონა ბერაია
აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს უფროსი სპეციალისტი

სამოდელო გაკვეთილი

თავისუფლების მწერლები

ფილმს „თავისუფლების მწერლები“, ალბათ, ყველა პედაგოგი იცნობს, თუმცა, აღმოჩნდა, რომ ჩემს მოსწავლეებს აღნიშნული ფილმი ნანახი არ ჰქონდათ.

უცხოური ენის სწავლებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფილმის, როგორც რესურსის, გამოყენებას სასწავლო პროცესში, მასზე მსჯელობას, ფაქტების და მოვლენების გაანალიზებას, მოსაზრებების გამოთქმას და ა.შ. სწორედ ამ მიზნით შევთავაზე მოსწავლეებს, ენახათ „თავისუფლების მწერლები“ რუსულ ენაზე.

მინდა კოლეგებს გავუზიარო გამოცდილება და შევთავაზო მე-10 კლასში რუსულ ენაში ჩატარებული სამოდელო გაკვეთილის გეგმა.

სამოდელო გაკვეთილის გეგმა

მასწავლებლის სახელი, გვარი: ქეთევან კუბლაშვილი
საგანი: რუსული ენა
სწავლების საფეხური/კლასი: III საფეხური, X კლასი
მოსწავლეთა რაოდენობა: 15
გასავითარებელი კომპეტენცია: წიგნიერება
გაკვეთილის თემა: „თავისუფლების მწერლები“
გაკვეთილის მიზნები:
1. მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივება;
2. ურთიერთდახმარების სურვილის წახალისება;
3. წყვილში მუშაობის, კრიტიკული აზროვნების, ვარაუდების გამოთქმის, არგუმენტირებული მსჯელობისა და შეფასების უნარების განვითარების ხელშეწყობა.

მოსწავლემ შეძლოს:
1. მოსმენილი და წაკითხული ინფორმაციის გაგება-გააზრება-გაცნობიერება;
2. ნასწავლი ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება მეტყველებაში;
3. დასმული და წაკითხული კითხვების გაგება და მათზე სათანადო პასუხის გაცემა/რეაგირება;
4. მცირე ზომის რეკლამის მომზადება.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/ მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ ფორმები	სასწავლო რესურსი	დრო
1.	**A ფაზა** **აქტივობა 1 გამოწვევა** ***აქტივობის მიზანი:*** *1. მოსწავლეთა მოტივირება, ყურადღების კონცენტრირება, განწყობის შექმნა ახალ თემაზე გადასასვლელად;* *2. მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივება;* *3. ურთიერთდახმარების სურვილის წახალისება* 1. მიზნების გაცნობა **სივრცის ორგანიზება:** კლასში, მოსწავლეებისა და ჩემ მიერ, მომზადებულია ოთახი: მერხები გვერდებზეა განლაგებული, იატაკზე გაჭიმულია წითელი ლენტი, როგორც ფილმში მოამზადა მასწავლებელმა. ფილმიდან ნაწყვეტის დემონსტრირება ხდება უხმოდ და იქმნება ფონი სიტუაციის გასათამაშებლად. მასწავლებელი იწყებს მოსწავლეთა გამოწვევას ზუსტად ისე, როგორც ფილმშია. **2. მასწ.:** ახლა ჩვენ ვითამაშებთ, თამაშს ეწოდება „ხაზი“, მე ვსვამ კითხვებს, თუ ის გეხებათ თქვენ-დადექით ხაზთან, შემდეგ გაშორდებით მას. ხომ ადვილია? (იმეორებს სიტყვებს ფილმიდან) და შემდეგ სვამს კითხვებს: 1. ვინ ნახა ფილმი „თავისუფლების მწერლები“? 2. ვისი სურვილი იყო, ჩაგვეტარებინა გაკვეთილი სწორედ ამ თემაზე? 3. შესაბამისად, ვინ გრძნობს პასუხიმგებლობას, რომ ამ გაკვეთილზე იყოს აქტიური? 4. რომელი თქვენგანი მიმართავს, საჭიროების შემთხვევაში, დასახმარებლად მეგობარს, რომ გაერკვეს ამა თუ იმ საკითხში? 5. კლასში გვყავს სხვადასხვა რელიგიური რწმენის მოსწავლეები. ხომ არ გიგრძვნიათ ამის გამო თავი არაკომფორტულად? **მასწ.:** ისინი, ვინც დახმარებისთვის ყოველთვის მზად არიან, იმსახურებენ შექებას, ამიტომ დაასახელეთ ისინი. მოსწავლეები ასახელებენ თანაკლასელებს, მშობლებს ან მეზობელს და სხვ., აჯილდოებენ ტაშით.	ვერბალური თამაში-ფილმის სიმულირება კითხვა-პასუხი	მთელი კლასი	ფლიპჩარტზე გამოტანილი სასწავლო მიზნები წითელი ლენტი თვალსაჩინოება PowerPoint-ში **სლაიდი№4** ნაწყვეტი ფილმიდან „თავისუფლების მწერლები“	2წთ 3წთ
2.	**აქტივობა 2. მოსმენა, კითხვა** ***აქტივობის მიზანი***: *მოსწავლეთა მოტივაციის შენარჩუნება; მოსმენილი და წაკითხული ინფორმაციის გაცნობიერება; კრიტიკული აზროვნების, ვარაუდების გამოთქმისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარების განვითარების ხელშეწყობა.* 1. ნაწყვეტის ჩვენება ფილმიდან „თავისუფლების მწერლები“ 2. იმავე ტექსტის წაკითხვა ნაწილებად (პაუზებით), კითხვებზე პასუხის გაცემა და არგუმენტირება ტექსტიდან შესაბამისი ადგილების მოხმობით, საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა: **I ნაწილის წაკითხვის შემდეგ** ა) წარმოიდგინეთ, რომ არ გინახავთ ფილმიდან ნაწყვეტი და მასწავლებელი გეუბნებათ, რომ ამბავს გვიყვება გოგონა, როგორ და რით დაუმტკიცებდით მას, რომ ცდება? ბ) რამდენი წლისაა ბიჭი?	დემონსტრირების მეთოდი ტექსტზე მუშაობა – პაუზებით კითხვა კითხვა-პასუხი		ნაწყვეტი ფილმიდან https://www.youtube.com/watch?v=1s7BEumsVKk თვალსაჩინოება PowerPoint-ში **სლაიდი№6** დასარიგებელი საკითხავი მასალა(ფილმიდან წარმოდგენილი ნაწყვეტის შესაბამისი ტექსტი) **სლაიდი №6**	2წთ 10წთ
	გ) რა აცნობა დედამ? დ) სად და როდის ხდება მოქმედება? რატომ თვლით ასე? **II ნაწილის წაკითხვის შემდეგ** ა) რას ნანობს ბიჭი და სად ჩანს ეს? ბ) როგორ გესმით მისი სინანულის საბაბი? გ) ჩანს თუ არა ტექსტის ამ ნაწილში ბიჭის განცდა? რაში გამოიხატება ის? **III ნაწილის წაკითხვის შემდეგ** ა) რა შეგრძნება ეუფლება სკოლის წინ? ბ) თქვენი აზრით, რატომ აქვს ეს შეგრძნება? **IV ნაწილის წაკითხვის შემდეგ** ა) ვინ ჩაუნერგა ბიჭს იმედი? ბ) რატომ ეძახის მასწავლებელს შერეკილს? გ) რა უმსუბუქებს მას ყოფას? **V ნაწილის წაკითხვის შემდეგ** ა) თქვენი აზრით, წყვეტს თუ ვერ წყვეტს სკოლა ბიჭის პრობლემას?			**სლაიდი №7** **სლაიდი №8** **სლაიდი №9** **სლაიდი №10**	
3.	**აქტივობა 3. საინფორმაციო ტექსტის წაკითხვა** ***აქტივობის მიზანი:*** *1. დამატებითი ინფორმაციის მიღება ფილმის შესახებ;* *2. ტექსტის გაგება-გააზრება;* *3. წყვილში მუშაობის უნარების განვითარების ხელშეწყობა;* ა) ტექსტის წაკითხვა-დამუშავება ბ) ხმამაღლა კითხვა გ) დიახ/არა/არ ვიცი – სავარჯიშო	თანამშრომლობითი მეთოდი თვითშეფასება	წყვილებში	**სლაიდი №11** დამხმარე მასალა რუსულ ენაში, გვ.17; ლექსიკონი შესავსები სქემა „დიახ/არა/ არ ვიცი“	5წთ 4წთ 5წთ
4	**აქტივობა 4. ფილმის რეკლამირება** ***აქტივობის მიზანი***: *1. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ პასუხი გასცენ კითხვაზე: რატომ უნდა ნახონ ეს ფილმი?* *2. დაამზადონ შესაბამისი რეკლამა და წარადგინონ;* *3. ნასწავლი კონსტრუქციების გამოყენებით გააკეთონ შეფასება.* 1. ფილმის რეკლამის მომზადება; 2. ნამუშევრის გამოფენა და წარდგენა; 3. წარმოდგენილი ნამუშევრების შეფასება.	გასეირნება გალერეაში შეფასება, ურთიერთშეფასება	წყვილები მთელი კლასი	ფლიპჩარტი, ფოტომასალა, ფლომასტერები	5წთ 4წთ
5	***სარეზერვო აქტივობა*** კითხვებზე პასუხი და მსჯელობა: ისტორია თავისთავად იქმნება, თუ მას რეალური პიროვნებები ქმნიან? დაასახელეთ ერთი პიროვნება, რომელზედაც შეიძლება ითქვას, რომ მან შექმნა: საქ. ისტორია; ქართული მწერლობის ისტორია; რუსული პოეზიის ისტორია; კლასიკური მუსიკის ისტორია; ჩვენი სკოლის ისტორია; თქვენი კლასის ისტორია.	კითხვა-პასუხი არგუმენტირებული მსჯელობა			2წთ
6	**აქტივობა 5.** ***აქტივობის მიზანი:*** *1. შეფასების უნარის განვითარების ხელშეწყობა-შეფასება ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებით;* *2. გაკვეთილის მიზნების მიღწევის შესახებ მოსაზრებების გამოთქმა.* 1. მასწავლებელი, ფილმის მთავარი პერსონაჟის – მასწავლებლის მსგავსად, მოსწავლეებს ურიგებს რვეულებს და სთხოვს გააკეთონ მასში ჩანაწერები რუსული ენის თითოეული გაკვეთილისა და მისი მონაწილეების შესახებ, შეიტანონ მასში საყვარელი ფრაზები, გამონათქვამები, დღის მანძილზე მიღებული საინტერესო ინფორმაცია და ა.შ. 2. ფილმის შემაჯამებელი შეფასება-მოსწავლეთა მოსაზრებები; 3. გაკვეთილის შეფასება-შეჯამება მოსწავლეებისა და მასწავლებლის მიერ. **მოსწავლეთა შეფასება რუბრიკის მიხედვით** **საშინაო დავალება:** პირველი ჩანაწერის გაკეთება რვეულებში-გაკვეთილის შეფასება	 უკუკავშირი შეფასება	 რვეულები შეფასების რუბრიკა	1წთ 4წთ

მისაღწევი შედეგები:

უცხ.ს.IV.16. მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში მონაწილეობა. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:
- ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით მომზადების გარეშე გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, პოზიციას და განმარტავს მას *(რა მოსწონს/არ მოსწონს, რატომ)*;
- ახერხებს მოვლენების, ფაქტების, ქცევების საკუთარი პოზიციიდან შეფასებას.

უცხ.ს.IV.19. მოსწავლე ფლობს და იყენებს საბაზისო ენობრივ უნარ-ჩვევებს.
- ინტერაქციის წარმართვისას სათანადოდ შეარჩევს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებსა და ფორმულებს, კლიშეებს;
- იყენებს სასაუბრო თემის შესაბამის ნასწავლ ლექსიკას;
- იყენებს ემოციების, დამოკიდებულების, შთაბეჭდილების გამომხატველ ხშირად ხმარებულ

სამოდელო გაკვეთილი

ენობრივ საშუალებებს *(მაგ., ლექსიკურ ერთეულებს, მყარ შესიტყვებებს, კლიშეებს, ენობრივ კონსტრუქციებს).*

უცხ.ს.VI.15. მოსწავლეს შეუძლია საუბარი მისთვის საინტერესო/სასურველ თემაზე *(საყვარელ გადაცემაზე, ფილმზე, გმირზე, მოგზაურობაზე და სხვა)*.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- გადმოსცემს საკუთარ დამოკიდებულებას, განწყობას, თვალსაზრისს;
- მოსაზრების, დამოკიდებულების გადმოცემისას გამოკვეთს მისთვის მნიშვნელოვან დეტალებს.

უცხ.ს.IV.7. მოსწავლეს შეუძლია წაიკითხოს და გაიგოს ადაპტირებული ნოველა, მოთხრობა (ან ნაწყვეტი მოთხრობიდან).

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს მთხრობელს, პერსონაჟებს;
- ამოიცნობს კონკრეტულ ინფორმაციას (ვინ, სად, რატომ, რა მიზნით და სხვა);
- ამოიცნობს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და აფასებს მათ საქციელს;
- ამოიცნობს პერსონაჟებს შორის არსებულ ურთიერთობებს.

უცხ.ს.IV.13. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის ტექსტის შედგენა, რომელშიც ავლენს თვითგამოხატვის უნარს.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით აყალიბებს საკუთარ დამოკიდებულებას და განმარტავს მას;
- აღწერს ნანახით, წაკითხულით მიღებულ შთაბეჭდილებებს.

შეფასების ზოგადი რუბრიკა. თემა – „თავისუფლების მწერლები“

№	კრიტერიუმების ბადე	ქულები
	ინტერაქციაში მონაწილეობა	
1	გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას, პოზიციას და განმარტავს მას *(რა მოსწონს/არ მოსწონს, რატომ).*	2
	მოსწავლე ფლობს და იყენებს საბაზისო ენობრივ უნარ-ჩვევებს. მოსწავლეს შეუძლია შეფასება (ფილმის, პიროვნების, გაკვეთილის და სხვა)	
2	ლაპარაკისას იყენებს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს და სასაუბრო თემის შესაბამის ნასწავლ ლექსიკას; მათი საშუალებით გადმოსცემს საკუთარ დამოკიდებულებას, განწყობას, თვალსაზრისს; პიროვნების, მოვლენის დახასიათებისას ირჩევს შესაფერის ენობრივ საშუალებებს *(განსაზღვრებებს).*	3
	კითხულობს ნაწყვეტს ტექსტიდან	
3	ამოიცნობს მთხრობელს, პერსონაჟებს; ამოიცნობს კონკრეტულ ინფორმაციას (ვინ, სად, რატომ, რა მიზნით და სხვა); ამოიცნობს პერსონაჟთა ქცევის მოტივს და აფასებს მათ საქციელს; ამოიცნობს პერსონაჟებს შორის არსებულ ურთიერთობებს.	3
	ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში	
4	აქტიურად მონაწილეობს ყველა აქტივობაში: სვამს და პასუხობს კითხვებს, ქმნის ნამუშევარს, თანამშრომლობს მეწყვილესთან	2
	ქულათა მაქსიმალური რაოდენობა – 10	

ДА / НЕТ / НЕ ЗНАЮ

№	Соответствие с текстом	ДА	НЕТ	НЕ ЗНАЮ
1	Главная героиня фильма – Хилари Суэн			
2	Бюджет – выше 21 000 000$			
3	В фильме участвуют те реальные люди, о которых в нем рассказывается			
4	В фильме показывается история учеников американской школы			
5	Эти дети – трудные подростки			
6	Их цель выживание, поэтому им не до учебы			
7	На них все махнули рукой, кроме учительницы английского языка			
8	Учительница английского языка для них открыла новый мир			
9	Она борется вместо них			
10	Жанр-криминал, драма			

ტექსტები კითხვის აქტივობისთვის:

პირველი ტექსტი

„Писатели свободы“

Это лето было самым плохим за мою короткую 14-летнюю жизнь. Оно началось с телефонного звонка. Мама плакала и молила об отсрочке, как о последнем глотке воздуха.

Она крепко прижала меня к себе и плакала. Её слезы ударяли мне в грудь как пули и говорили мне: „Нас выселяют“. **Мама** все время передо мной извинялась, а **я думал** „У меня нет дома“.

Надо было просить на Рождество что-нибудь подешевле. Утром, когда нас выселили, меня разбудил стук в дверь. Это пришел **шериф** делать свое дело. Я смотрел на небо и ждал, вдруг что нибудь случится... У моей мамы нет родственников и нет денег. Зачем ходить в школу и получать хорошие отметки, если я бездомный?

Автобус останавливается перед школой. Ощущение такое, что сейчас стошнит. Я в прошлогодней одежде, те же старые башмаки, мне кажется что надо мной все смеются.

Но вместо этого меня встречают друзья, с которыми я учился в прошлом году. И вдруг до меня доходит, **миссис Груэлл** – мой чокнутый учитель английского, единственный человек который **заставил меня думать о надежде.** Мы говорим как в прошлом году учили английский, как ездили на экскурсии и мне становится легче.

Я получаю расписание и вижу – мой первый учитель миссис Груэлл, класс 203. Я вхожу в класс и мне кажется, что все проблемы остались позади – я дома...

მეორე ტექსტი

Писатели свободы

Год выпуска *– 2007*

Продолжительность *– 125 мин.*

Режиссёр *– Ричард Лагравенезе*

Жанр *– криминал, драма, биография*

Страна *– США, Германия*

Бюджет *- $ 21 000 000*

Сценарий *- Ричард Лагравенезе*

В главной роли *– Хилари Суэнк*

Фильм основан на реальных событиях из жизни реальных людей. Как только фильм начинается, мы оказываемся в эпицентре событий: избиения, драки, террор, деление на «своих» и «чужих».

В фильме показывается история учеников американской школы, которые оказались в центре национальных распрей. Их жизнь — это война и риск, они не живут, они выживают. Конечно, таким детям не до учебы.

В фильме также рассказывается о начинающей учительнице английского языка, которая получает класс с трудными подростками. На них все махнули рукой: семья, школа, да и они сами. Но она борется за них и заставляет их делать то же самое.

Отзывы о фильме:

- *Просмотрев фильм, делаешь вывод: никогда не поздно меняться к лучшему!*
- *Потрясающий фильм! Сильный! Трогательный! Наполненый смыслом!*
- *Тронул меня этот фильм до глубины души! Проникающий в душу!*
- *Впечатляющий! Блистательный! Незабываемый! Замечательный!*
- *Таких не много! Один из лучших на данную тематику!*
- *Учит сочувствию!*

გამოყენებული მასალა და ინტერნეტრესურსები:

1. http://vvord.ru/tekst-filma/Pisateli-svobodyi/
2. https://www.youtube.com/watch?v=61vAri3KOhI&t=14s
3. https://www.youtube.com/watch?v=1s7BEumsVKk
4. დამატებითი მასალა მე-10 კლასის რუსული ენის სახელმძღვანელოსთვის (ქ. კუბლაშვილი)
5. თვალსაჩინოება გაკვეთილისთვის

რეფლექსია

უცხოური ენის სწავლებაში ყველაზე მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების განვითარებაა. მასწავლებელმა გაკვეთილზე უნდა შექმნას ურთიერთობის რეალური სიტუაციები და გამოიყენოს ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა საშუალება. ერთ-ერთი ასეთი საშუალება გახლავთ ფილმის გამოყენება სასწავლო პროცესში.

„თავისუფლების მწერლებს“ თაყვანისმცემელთა დიდი აუდიტორია ჰყავს, თუმცა, აღმოჩნდა, რომ ჩემს მოსწავლეებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ აღნიშნულ ფილმზე.

მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობის გამოწვევა მოვახერხე ფილმის შესახებ მცირე ინფორმაციის მიწოდებით, მათი ინტერესი განაპირობა იმან, რომ „თავისუფლების მწერლები“ რეალურ ისტორიაზეა შექმნილი და მოგვითხრობს მათ თანატოლებზე. მოსწავლეებს, ერთი თვით ადრე, თავისუფალი არჩევანის უფლებით, დავავალე ფილმის ნახვა, რომელზედაც ვაპირებდი გაკვეთილის დაგეგმვას.

საინტერესოდ წარიმართა გაკვეთილი, მოსწავლეებზე გათვლილმა მრავალფეროვანმა აქტივობებმა ხელი შეუწყო მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას, რაც შენარჩუნდა მთელი გაკვეთილის განმავლობაში, ისინი აქტიურად ჩაერთნენ საგაკვეთილო პროცესში, იყენებდნენ სხვადასხვა დროს მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას, ლექსიკურ მარაგს.

რაც შეეხება მოსწავლეთა კომუნიკაციას, ისინი ცდილობდნენ ესაუბრათ რუსულად, გამოეყენებინათ სასწავლო თემის შესაბამისი ლექსიკა, თამამად გამოთქვამდნენ მოსაზრებებს, მოჰყავდათ არგუმენტები ფილმიდან და წაკითხული ტექსტებიდან. აკეთებდნენ ურთიერთშეფასებასა და თვითშეფასებას, გამოხატავდნენ თავიანთ პოზიციას.

ჩემ მიერ დაგეგმილი ყველა აქტივობა, შერჩეული მეთოდი გათვლილი იყო მოსწავლეებზე და, რა თქმა უნდა, ესგ-დან იღებდა საწყისს, ემსახურებოდა გაკვეთილის მიზნის მიღწევას, დამეხმარა, გამომეწვია მოსწავლეთა მაღალი ჩართულობა, მოტივაცია, ხოლო მოსწავლეებს – თვითრეალიზებასა და მიზნის ყველა მისაღწევ შედეგზე გასვლაში, ნაწილობრივ თუ სრულად. გაკვეთილზე გამოყენებული სტრატეგიები, რესურსები, ასევე მიზნისკენ იყო მიმართული.

იმ შემთხვევაში, თუ კოლეგები გადაწყვეტენ დაგეგმონ იგივე გაკვეთილი, შეუძლიათ ისარგებლონ ჩემ მიერ შექმნილი რესურსებით, რომლებიც განთავსებულია ჩემს ბლოგზე.

დამატებითი მასალა:
მე-10 კლასის რუსული ენის სახელმძღვანელოსთვის
https://drive.google.com/file/d/1G4Fzyf3_69BI1roEJHBww-nGH4lRWQ1X/view
თვალსაჩინოება გაკვეთილისთვის
https://drive.google.com/file/d/10rADI_JtNElgByTmmfDN6uAhl_GzXHGd/view

ქეთევან კუბლაშვილი
ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლის რუსული ენის წამყვანი მასწავლებელი

წიგნის თარო

გამომცემლობა „ახალი განათლება“ გთავაზობთ

5 ლარი

12 ლარი

~~10 ლარი~~
7 ლარი

~~9 ლარი~~
6 ლარი

ფასდაკლება

ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე

ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე


თამაზ ვასაძე
ქართული
ენიერთული
ენიერთული
ენიერთ